1976

# საქართველოს ქალი

მარტი
№ 3 1976 წ.



ეროვნული ბიბლიოთეკა




ფოტო — ბ. ვახტანგაძისა

სკკპ XXV ყრილობა. სხდომათა დარბაზი. ტრიბუნაზეა ლ. ი. ბრეჟნევი.




# გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს

„უფრო გაბედულად მივიზიდოთ ქალები მომსახურების სფეროს მუშაობაში, უახლოეს წლებში მათი ხვედრითი წონა ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში გავზარდოთ 75 პროცენტამდე მაინც, ცეკავშირის სისტემაში — 55 პროცენტამდე, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში — 40 პროცენტამდე და სხვ.

მაგრამ ეს სულაც არ არის ერთადერთი დარგი, სადაც წარმატებით შრომობს საბჭოთა ქალი. მარტო მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში ქალები შეადგენენ 70 პროცენტს, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში — 50 პროცენტს, საკოლმეურნეო გლეხობაში ქალები 53,8 პროცენტს შეადგენენ. ჩვენი მასწავლებლებისა და ექიმების უმრავლესობა ქალები არიან. აი რატომ უნდა ვიხმაროთ ყოველი ღონე, რათა გავაუმჯობესოთ ყველა მომუშავე ქალის შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები".

(ამხ. ე. შევარდნაძის მოხსენებიდან საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

# სოციალისტური ცხოვრების

„მეათე ხუთწლედი ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპია...
სოციალისტური ცხოვრების წესის განვითარებაში“

(მეათე ხუთწლედის დირექტივების პროექტიდან).

ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი, მასშტაბური, გრანდიოზული — ასეთია ჩვენი პარტიის ეკონომიური, სოციალური და კულტურული მშენებლობის მიზანდასახულებანი უკვე დაწყებული ხუთწლედისათვის, 1976-1980 წლებისათვის. 80-იანი წლების გადმოსახედიდან, თუ თვალს გადავავლებთ იმ ბილიკებს, საიდანაც დავიწყეთ, და წარმოვიდგენთ, რით დავიწყეთ, ან რანი ვიყავით სულ ამ ორმოცდაათიოდე წლის წინ, თუ შევადარებთ მაშინდელ ციფრებს დირექტივებით დასახულ მიჯნებს, სხვა შეფასებას ჩვენს წარმატებებს ვერც მისცემთ, თუ არა როგორც გრანდიოზულს, ნამდვილ „საბჭოთა სასწაულს“, როგორც ბევრი უწოდებს მას საზღვარგარეთ. ეს ზრდა კი არა, ნახტომია ჩამორჩენილობიდან, სილატაკიდან, წყვდიადიდან ყველაზე მოწინავე ცივილიზაციის სამყაროში.

მაგრამ სარეკორდო მწვერვალები წინ ელვარებენ. იქ, იმ მწვერვალებზე, საბჭოთა ადამიანი პირველი ავა, ისევე, როგორც პირველმა დაუდო დასაწყისი ახალი სამყაროს შექმნას, ისევე, როგორც პირველმა გაკვალა სოციალიზმის გზა, ისევე, როგორც პირველი გაიჭრა კოსმოსში. ახალ, მეათე ხუთწლედში მძლავრი ფუნდამენტი ჩაეყრება კომუნიზმის მწვერვალების დაპყრობას. სწორედ ეს ხუთწლედი უნდა გახდეს ეტაპობრივი მოვლენა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფისა და ახალი ადამიანის ჩამოყალიბებაში.

მეათე ხუთწლედის სათავეებთან, მომავლის ამოცანებს რომ ვიხილავთ და ვსახავთ, განსაკუთრებით გვიტაცებს პერსპექტივები და ჰორიზონტები, რომელნიც გვესახებიან სოციალისტური ცხოვრების წესის სრულყოფასა და განვითარებაში. ეს ჭეშმარიტად ისტორიული ამოცანაა.

ერთერთ თავის გამოსვლაში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა: „საბჭოთა ხალხმა, რომელიც ლენინის მიერ ნაჩვენებ გზას ადგას, შექმნა ცხოვრების ახალი, სოციალისტური წესი, ახალი, სოციალისტური ცივილიზაცია“. ეს ნიშნავს იმას, რომ საბჭოთა ხალხმა ახალი ტიპის — სოციალისტური ტიპის საწარმოო ურთიერთობათა დამკვიდრების, საწარმოო ძალების მძლავრი აღმავლობის, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და კოოპერირების, კულტურული რევოლუციის ლენინური კურსის განუხრელი გატარების გზით დაამარცხა წარსულის ისეთი მანკიერებანი, როგორიცაა საზოგადოების გათიშვა შეურიგებელ ანტაგონიზმად, უსამართლობა, უთანასწორობა, მტრობა, საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი ინდიფერენტული ან ნიჰილისტური დამოკიდებულება, უმუშევრობა, შიმშილი, შიში ხვალინდელი დღისა, კაპიტალის ყოვლისშემძლეობა, ბურჟუაზიულ პარადოქსებსა და სენტენციებზე დამყარებული იდეოლოგია, დამცირება, ანტიჰუმანიზმი, შოვინიზმი და ნაციონალიზმი, და კიდევ მრავალი სხვა სნეულება, რომლებიც კერძო საკუთრების, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის ნოყიერ ნიადაგზე საუკუნეების მანძილზე მრავლდებოდნენ და მძლავრდებოდნენ. დიახ, ჩვენ ისინი დავამარცხეთ, მაგრამ ზოგიერთი მათგანი სრულად ვერ ამოვშანთეთ, სავსებით ვერ განვდევნეთ ჩვენი ცხოვრებიდან: დადგა დრო, გლობალურ შეტევაზე გადავიდეთ, საბჭოთა სახელმწიფოს მძლავრი ეკონომიური პოტენციალის შექმნისა და მისი კულტურული გაფურჩქვნის კვალდაკვალ ყველგან და ყველაფერში დავამკვიდროთ ცხოვრების სოციალისტური წესი. მეათე ხუთწლიანი გეგმის ერთ-ერთ მთავარ მიზანდასახულობაში — ცხოვრების სოციალისტური წესის განვითარებაში — სწორედ ეს აზრია ჩაქსოვილი.

მაინც, რა არის ცხოვრების სოციალისტური წესი? (სამწუხაროდ, ჩვენი მეცნიერები, სოციოლოგები, შესაბამისად დარგის მკვლევარები ამ დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის პრობლემაზე საკმარისად როდი მუშაობენ).

ცხოვრების სოციალისტური წესი — ეს თვისობრივად, პრინციპულად ახალი, მანამდე უცნობი, კონკრეტული ისტორიული მოვლენაა და მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების დიდ სამყაროს, მრავალფეროვანს, მრავალწახნაგოვანს და სპეციფიკურს თავისი შინაარსით და ფორმით. იგი ემყარება საწარმოო ურთიერთობათა სოციალისტურ წესს, მატერიალური წარმოების მაღალ დონეს, მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას, ჰუმანიზმის, კოლექტივიზმის, ძმობის, მეგობრობის, ღრმა ინტერნაციონალიზმის, კომუნისტური ყოფის, ოჯახისა და მორალის მაღალ პრინციპებს. სოციალისტური ცხოვრების უმაღლესი ღირებულებაა მშრომელი ადამიანი, ხოლო მთავარი ამოცანა — საზოგადოების თითოეული წევრის მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება.

როგორც ვხედავთ, ცხოვრების სოციალისტური წესი მაღალორგანიზებული, ყველაზე სამართლიანი და ჰუმანურ პრინციპებზე დაფუძნებული საზოგადოებაა. დიდი ხანია, უხსოვარი დროიდან ოცნებობდნენ ადამიანები ასეთ მომავალზე. რამდენ მათგანს ამისთვის ჯოჯოხეთური წამება გადაუტანია. რამდენი — კოცონზე დაუწვავთ... ახლა, 80-იან წლების იმ თაობას, იმათ, ვინც მეათე ხუთწლედის ხარაჩოებზე იშრომებს, მართებს თვალისჩინივით გაუფრთხილდეს მას, რაც მრავალსაუკუნოვანი ბრძოლითა და წამებითაა მოპოვებული, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრებით ხელი შეუწყოს მის განვითარებას.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სოციალისტური ცხოვრების წესის განვითარება არის არა სტიქიური მოვლენა, არამედ ღრმად გააზრებული, პარტიის სოციალური და ეკონომიური პოლიტიკის თანმიმდევრულად განხორციელების შედეგი. როგორც იტყვიან, იგი განასახიერებს სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების დიალექტიკურ ერთობლიობას. არსად ისე არ გამოიკვეთება საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობა, ჰარმონია თუ დისჰარმონია მათ შორის, როგორც ცხოვრების წესში. ცხოვრების სოციალისტური წესი გამორიცხავს პიროვნების კულტს, აღმოცენებულს გამდიდრების, ქონებრივი, პირადი საკუთრების უთანასწორობის ნიადაგზე. სოციალისტური ცხოვრების წესის სიმწიფე და მისი ხარისხი იმით განიზომება, თუ როგორ შეურიგებელ და შეუწყნარებელ პოზიციას დაიჭერს მთელი საზოგადოებრიობა ყოველგვარი ანტიპოდების წინააღმდეგ. ეს — სოციალისტური თანაცხოვრების მთავარი კანონია.

რაღა თქმა უნდა, სოციალისტური ცხოვრების წესის განვითარების, მისი დიდ უპირატესობათა გამოვლინების მთავარი, განმსაზღვრელი ფაქტორია კურსი, რომელსაც პარტია ახორციელებს ეკონომიურ, სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში. როგორც ცნობილია, ახალი ხუთწლედის მთავარი ამოცანაა საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მუშაობის ხარისხის ყოველმხრივი გაუმჯობესების საფუძველზე ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის კომუნისტური პარტიის კურსის თანმიმდევრული განხორციელება. ხუთწლედით გათვალისწინებულია დაბალ ხელფასიანთა შემოსავლის ზრდა და ამ საფუძველზე მუშამოსამსახურეთა ხელფასების გათანაბრება, პენსიების გადიდება, ბინათმშენებლობის მაღალი ტემპით განვითარება, თითოეულ

# წესის სრული გამარჯვება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელის საყოფაცხოვრებო და მატერიალური პირობების გაუმჯობესება. უყოველივე ეს განამტკიცებს სოციალისტური ცხოვრების მატერიალურ და კულტურულ საფუძვლებს.

კიდევ უფრო დიდი პერსპექტივები ისახება მომდევნო ხუთწლედისათვის. როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, დაახლოებით უახლოესი სამი ხუთწლედის შემდეგ პარტია უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ისეთ დონეს, როცა მთლიანად დაკმაყოფილდება ადამიანთა მოთხოვნები პირველი მოთხოვნილებების საგნებზე, შეიქმნება ყველა პირობა მის სულიერ მოთხოვნათა მაქსიმალურად დაკმაყოფილებისათვის.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ნახევარი საუკუნის შემდეგ, არც თუ ისე იშვიათი შემთხვევაა სოციალისტური საკუთრების დატაცება, მექრთამეობა, სპეკულაცია, მკვლელობა, ლოთობა, ბოროტი ხულიგნობა, ამორალური ქცევა, მუქთახორობა, მეშჩანობა, ანონიმური წერილების წერა, პროტექციონიზმი, ქელეხებისა და წრესგადასული ქორწილების გამართვა პირადი გამორჩენის მიზნით, კერძო მესაკუთრული ინსტინქტის გაღვივება, მომხმარებლური და ეგოისტური დამოკიდებულება საზოგადოებრივი საქმიანობისადმი და ა. შ. როგორც ვხედავთ, „შავი ლაქები" ცოტა როდია ჩვენი ნათელი ცხოვრების ფონზე. რა თქმა უნდა, საბჭოთა სოციალისტური ცხოვრების შინაარსისათვის ეს ანტიპოდები როდია დამახასიათებელი, მაგრამ როგორი ერთეული, ცალკეული შემთხვევების ხასიათსაც არ უნდა ატარებდნენ ისინი, მათ წინააღმდეგ საჭიროა უკომპრომისო, შეურიგებელი ბრძოლა.

ხშირად კითხულობენ: რა მიზეზები განაპირობებენ მათ არსებობას, ისინი ხომ პრინციპულად, კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან სოციალისტურ ცხოვრების წესს? ხომ ფაქტია, საზოგადოების აბსოლუტურ უმრავლესობას, 99 პროცენტზე მეტს, აღელვებს მათი არსებობა. ამასთან, ჩვენში არ არის კლასობრივი და სოციალური საფუძველი მათი არსებობისათვის. მაშ, რაშია საქმე?

ამჯერად ვერ მოხერხდება ამ მიზეზთა საფუძვლიანი ჩამოყალიბება, მაგრამ აღვნიშნავთ შემდეგს: წარსულის გადმონაშთები, აქაც კი, სადაც მათი არსებობისათვის ობიექტური საფუძვლები არ არსებობს, დიდი გამძლეობით გამოირჩევიან. ადამიანის სულიერი სამყარო ადვილად როდი თავისუფლდება წარსულის ტვირთისაგან. დიდი ზიანი მოგვაყენა სუბიექტივიზმითა და ვოლუნტარიზმით გამოწვეულმა მოშვებულობამ, უპრინციპობამ, გულგრილობამ. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის სრულ ეფექტურობას და ქმედითობას, მის დაყენებას ოპტიმალურ საფუძვლებზე. არა გვაქვს წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა. საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე, განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე, სხვადასხვა მიზეზების გამო, მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ბურჟუაზიული იდეოლოგია. ასეთ ვითარებაში ამ ბაცილების „აყვავებასა" და გამრავლებას რა დაუდგებოდა წინ!

რით შეიძლება სოციალიზმის ანტიპოდების ამოშანთვა? ორიგინალური აზრი როდია, მაგრამ პირველ რიგში უნდა ვირწმუნოთ ეს უდავო ჭეშმარიტება: ამ საქმეში გადამწყვეტი სიტყვა საზოგადოებრიობამ უნდა თქვას. ტალახში შეტოპილს დავეხმაროთ ლაფის მოცილებაში, ახალდაბადებულს აკვნიდანვე ჩავუნერგოთ ამაღლებული გრძნობები და იდეალები. ნუ ვიქნებით მასთან მეშჩანი, ნუ ვილაპარაკებთ სიმდიდრეზე, ნუ შევაჩვევთ უქნარობას, იოლ ცხოვრებას... ნუ ჩავაგონებთ, რომ აი, მავანმა და მავანმა, „დიდად მოხერხებულმა" — კაცმა აგარაკები შეიძინა, ბინები გამოავსო, და მარტო ეს კი არა, თავისი სიმდიდრის წყალობით მთასაც კი შესძრავს... ასეთი ობივატელის, სულითა და გრძნობით გაპარტახებული მეშჩანის „საქმეებისათვის" გუნდრუკის კმევით თვითონ ჩვენ აღმოვჩნდებით ხოლმე ობივატელის როლში. რა საძრახისი დაუკვირვებლობაა!

სკოლა, უმაღლესი სასწავლებლები, თეატრი, კინო და ხელოვნების სხვა ინსტიტუტები, მთელი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა სწორედ სოციალისტური ცხოვრების მაღალი პრინციპების სრულ და საყოველთაო გამარჯვების ამოცანას უნდა ემსახურებოდეს. და თუ წარმოვიდგენთ, რომ ჩვენ არსად არ დავუშვებთ ზერელობას, ფორმალიზმს, ჩავარდნებს, შეგვიძლია მტკიცედ ვირწმუნოთ: თანდათან მოვიცილებთ შავ ლაქებს, დავამკვიდრებთ სოციალისტური ცხოვრების წესს და მოვამზადებთ ნიადაგს მისი კომუნიზმში გადაზრდისათვის.

სოციალისტური ცხოვრების წესის ერთი დიდი სფეროა ყოფა და ოჯახი. ჩვენ ამ სფეროში კარდინალური ძვრები მოვახდინეთ. არსებითად შეიცვალა საბჭოთა ადამიანების შეხედულება ყოფისა და ოჯახის მიმართ. 30-იან წლებში იმაზეც კი დაობდნენ, შეესაბამება თუ არა კომუნისტურ მორალს ჰალსტუხის, მძივების, ბეჭდის, საყურის ტარება. ახლა ფაქტია ოჯახურ-საყოფაცხოვრებო ურთიერთობა ჩვენში არა მარტო ყველაზე პროგრესული, ყველაზე მოწინავეა მთელ მსოფლიოში, არამედ იგი გამოირჩევა თვით საბჭოთა ადამიანების მაღალი, დახვეწილი, ნატიფი გემოვნებითა და კრიტერიუმებით. და ეს შემთხვევითი როდია — იგი სოციალიზმის დიდი მონაპოვარია.

მაგრამ კომუნისტურ ყოფას ჩვენ ჯერ კიდევ დიდი მიჯნები გვაშორებს, მნიშვნელოვნად ჩამორჩება მომსახურების, ვაჭრობის, პირველი მოთხოვნილებების საგნების წარმოების მოცულობა და ხარისხი, დაბალია საოჯახო საგნების ესთეტიკური გაფორმების დონე, სხვანაირად რომ ვთქვათ, ადამიანთა გაზრდილ მოთხოვნილებებსა და გემოვნებას არ შეესაბამება მატერიალური წარმოების დონე და ორგანიზაცია. სწორედ ამ ამოცანის გადაწყვეტა დგას ახალი ხუთწლედის, ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედის ყურადღების ცენტრში. იგი მოასწავებს აგრეთვე ქალის მამაკაცთან სრულ გათანასწორებას, ოჯახური სამზარეულოს „ტექნიკურ" მოვალეობათაგან თანდათანობით გამოთავისუფლებას და მთელ მის პოტენციურ შესაძლებლობათა გამოყენებას ახალი თაობის აღზრდისა და საზოგადოების სულიერი და მატერიალური დოვლათის გამრავლებისათვის ბრძოლაში. ეს იქნება სოციალიზმის კიდევ ერთი ტრიუმფი — არსად, არც ერთ საზოგადოებას, გარდა სოციალიზმისა, არ შეეძლო და ვერც შეეძლო ამ პრობლემის გადაწყვეტა.

სოციალისტური ცხოვრების წესის — ცხოვრების ყველაზე მაღალორგანიზებული, ყველაზე ჰუმანური წესის საბოლოო გამარჯვება შორეული მომავალი როდია. იგი წყდება ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში, ფიქრებსა და მიზანდასახულობაში. დაე, არავინ დარჩეს გულგრილი ამ საკაცობრიო იდეალისადმი. განსაკუთრებული მონდომება და დაძაბული შრომა გვმართებს ჩვენ, საბჭოთა საქართველოს მშრომელებს, რათა დავძლიოთ წლების განმავლობაში დაგროვილი ნეგატიური მოვლენები და აღმოვჩნდეთ იმ პოზიტიური გარდაქმნების სულისკვეთების დონეზე, რომელსაც საქართველოს კომუნისტური პარტია სახავს და ახორციელებს.

გვახსოვდეს, სოციალისტური ცხოვრების წესი ამაღლებს და აღმერთებს მხოლოდ პატიოსან შრომას, პატიოსან მშრომელს.

ომარ ფხაკაძე



ნიელი პედაგოგები ნადეჟდა დვალიშვილი და ნატო მეტონიძე

პოტში. ყველას თავისი სამუშაო ადგილი მიუჩინეს. საქართველოს ას ორმოცი წარგზავნილი შრომობს ნიაზე, მათ შორის ოცამდე ქალია. საქართველოს მშენებელთა რაზმი, თუ არ ვცდები, ერთადერთია, სადაც საკუთარი საექიმო პუნქტი აქვთ. [illegible] ბიჭები ჯანმრთელები არიან, მთას გადაანგრევენ, მაგრამ ექიმის გვერდით ყოფნა მაინც დიდი იმედია. საექიმო პუნქტს ქირურგი თამაზ ურუშაძე ხელმძღვანელობს. მისი მეუღლე დოდო ჭუმბურიძე თერაპევტია. თამაზს და დოდოს მთელს ბამზე აქვთ სახელი განთქმული. მათთან პაციენტები მოდიან ვერტმფრენით, ავტომანქანით, ზოგჯერ ტაიგაში ფეხითაც გამოივლიან ხოლმე ათობით კილომეტრს. ექიმები გულისყურით ეპყრობიან ყველა მოსულს, მკურნალობის კურსს უნიშნავენ და რაკი ტაიგაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე არ არის აფთიაქი, წამალსაც უფასოდ აძლევენ.

შვიდი ნოემბრის საღამო იყო. სადღესასწაულო სუფრას ვუსხედით. დოდო ჭუმბუ-

# საქართველოს ქალები ბამზე

ბამი. უსიერი ტაიგა. ზაფხულში გაუვალი ჭაობი, ზამთარში — ჭახჭახა ყინვა. ალბათ იტყვით, ქალისათვის არ არის შექმნილი ეს მხარე. მე კი დავრწმუნდი, ბამზე ქალები რომ არ მუშაობდნენ, ჩვენს სახელოვან მშენებლებს იმის ნახევარი წარმატებებიც კი არ ექნებოდათ, რაც ახლა გააჩნიათ. ერთ თვეს ვცხოვრობდი და ვმუშაობდი ბამელთა მხარდამხარ. ამ ერთი თვის მანძილზე, ყოველ დღე, ყოველ საათს, ყოველ წუთს ვხედავდი, ვგრძნობდი, რომ საუკუნის მაგისტრალს სანახევროდ ქალები აშენებენ. ქალები ჭრიან ტყეს, ქალები აგებენ სახლებს, ქალებს გაჰყავთ რკინიგზა. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარია ის ადამიანური სითბო, რომლის მეუფენიც მხოლოდ ქალები არიან და ურომლისოდაც შეუძლებელია რაიმე დიდი საქმის გაკეთება.

ბამს აშენებს მთელი ჩვენი ქვეყანა. ბამს აშენებს საქართველოც. მდინარე ნიის ულამაზეს ნაპირას, მწვანედ მოღაღანე ტაიგის შუაგულში სიცოცხლე დაამკვიდრა საქართველოს რაზმმა და მის მიერ აშენებულ დაბას სიყვარულით უწოდა ნია-გრუზინსკაია.

მანამდე კი იყო გრძელი და ძნელი გზა. 1975 წლის 2 აპრილს ჩამოვიდნენ სადგურ ლენაში ქართველი მშენებლები. წინ იდო კიდევ 100 კილომეტრი. არც რკინიგზა, არც შარაგზა, არც ბილიკი. რაც მთავარია, წინ იდო მდინარე ლენა. ყინულშეთხელებული მდინარე ის-ის იყო უნდა დაძრულიყო, მეორე ნაპირზე გადასვლის გადადებაც არ შეიძლებოდა. თუ არ გადავიდოდნენ, ტექნიკასა და სამშენებლო მოწყობილობას მეორე ზამთრის დაწყებამდე ველარ ჩაიტანდნენ ადგილზე. მშენებლობის დაწყებაც იმ დროისათვის გადაიწევდა.

რისკზე წავიდა საქართველოს რაზმი. ფეხქვეშ საეჭვოდ ჭახჭახებდა და ხრაშუნობდა ყინული. მაგრამ მაინც გადავიდნენ, გადაიტანეს ტექნიკა და მოწყობილობა. შემდეგ უგზოო ტაიგაში ორ კვირას მიდიოდნენ ნაბიჯნაბიჯ, რომ ნიის ნაპირებამდე ჩაეღწიათ.

რამ გაამხნევა, რამ გააძლებინა ჩვენს მშენებლებს? პირველ რიგში მაღალმა მოქალაქეობრივმა შეგნებულობამ, ენთუზიაზმმა. მაგრამ ამას გარდა მათ ძალასა და გამბედაობას მატებდა ქალები, რომლებიც მათთან ერთად გაემგზავრნენ ბამის მშენებლობაზე. როცა მამაკაცები ხედავდნენ, როგორ უშიშრად შეაბიჯეს ლენის საალბათო ყინულზე ექიმის თანაშემწემ მარიკა კაპანაძემ, თამილა შიოშვილმა, ნატო მეტონიძემ, ლარისა სალტიკოვამ, ძალა უათკეცდებოდაც, საფრთხეს და სიძნელეს არაფრად აგდებდნენ. იმ ძნელ დღეებში ჩვენი ქალები მამაკაცების მსგავსად მხრით აწვებოდნენ ტაიგის ჭაობში ჩაფლულ ავტომანქანას, დროებითი ბანაკიდან ზურგით გადაჰქონდათ ტვირთი, შლიდნენ კარვებს, აშენებდნენ ვერტოდრომს.

მერე ცხოვრება ნელ-ნელა ჩადგა კალაპოტში. ...

რიძე, ჩვენი კეთილი მასპინძელი თავს დაგვტრიალებდა სტუმრებს. შესანიშნავ განწყობილებას ხელს ისიც უწყობდა, რომ ოჯახში გაკეთებულ ჩვენებურ კერძებს მივირთმევდით. ამ ბედნიერებას მოკლებულნი არიან ბამელები.

უცებ კარებზე კაკუნი გაისმა. დიასახლისმა კარები გააღო. ოთახში გამთოშავ თოვლის ქარბუქთან ერთად, ქურქში გახვეული მამაკაცი შემოვარდა. მაშინვე ექიმი იკითხა.

— თქვენი ჭირიმე, ქალი ხელიდან გვეცლება, გვიშველეთ რამე!

ქართველ ბამელთა მეზობლად რუს მშენებელთა რაზმია. მუშა რაისა ჩეჩუი გამხდარიყო ავად, სააქოს პირი აღარ აქვსო, — თქვა მოსულმა. დოდო არც კი გამოემშვიდობებია სტუმრებს, სასწრაფოდ ქურქი გადაიცვა და გარეთ გავარდა, თამაზიც მიჰყვა. ჩვენ კიდევ დიდხანს ვისხედით სუფრასთან, ველოდით მასპინძლების დაბრუნებას, ვღელავდით.

— მწვავე შეტევა აქვს, ნემსები გავუკეთეთ, საშიში აღარაფერია. მაგრამ დოდო მაინც დარჩა ავადმყოფთან.

დღესასწაულის ღამე ექიმმა დოდო ჭუმბურიძემ ავადმყოფის საწოლთან გაატარა.

რა თქმა უნდა, მარტო ექიმი ვერაფერს გახდება, თუ მას გვერდით არა ჰყავს კვალიფიციური თანამშრომლები. ამ მხრივ დოდოს და თამაზს სამდურავი არ ეთქმით. მა-

რიკა კაპანაძე, ლარისა სალტიკოვა და ცი-ალა კიკნაძე თავისი საქმის ნამდვილი ოს-ტატები არიან. ექიმის თანაშემწეები ისეთი გულისხმიერები, ისეთი ყურადღებიანი და მეგობრული ხალხია, რომ ნემსისა და წამ-ლის გარეშეც კურნავენ ხალხს.

ქართველ მშენებელთა დაბაში სანიმუშო სისუფთავეა. ქუჩა ქუჩას გავს, საერთო საც-ხოვრებლის დერეფანი და ოთახები დაკრი-ალებულია, სასადილოში ხომ ნუღარ იტყ-ვით, ქათქათებს ყველაფერი. ჩვენს ბიჭებს უყვართ სისუფთავე, მაგრამ მედიცინის მუ-შაკთა მუდმივი კონტროლი მაინც თავის საქ-მეს აკეთებს.

პირველად გამიკვირდა, რომ მუშათა სასა-დილოს სამზარეულოში ყოველდღე ორ ექ-თანს ვხედავდით. თურმე მათ თვითონ აუღი-ათ ზედმეტი დატვირთვა საკუთარ თავზე. სა-ექიმო პუნქტში მორიგეობიდან თავისუფალ დღეებში ისინი სამზარეულოში მუშაობენ. არც ჭურჭლის რეცხვას თაკილობენ, არც დასუფთავებას. მზარეულსაც წაახმარენ ხოლმე ხელს. მარიკა კაპანაძემ ერთი-ორ-



ეკატერინე ილურიძე

ჯერ სხვაგან წასული მზარეული შეცვალა და ამ მზარეულმა კინაღამ „დაკარგა" ად-გილი. მუშებმა მოითხოვეს, მარიკას გარდა, სხვა მზარეული არ გვინდაო.

საქართველოს მშენებელთა რაზმი ერთ-ერთი მოწინავეა მთელ ბამზე. მოწინავეა არა მარტო თავისი სამეურნეო მაჩვენებლე-ბით, არამედ სანიმუშო ყოფაცხოვრებით და წესრიგითაც.

უსტ-კუტის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ალექსანდრე კანოტოპეცმა მითხრა:

— ნია-გრუზიანსკაიაზე ჩვენ არა გვაქვს მილიციის პუნქტი და არც ვაპირებთ მის შექმნას.

მას შემდეგ, რაც საქართველოს რაზმი ბამზე ჩავიდა, დაბაში ნემსიც არ დაკარგუ-ლა, ერთი წაკინკლავებაც არ მომხდარა. მთელ თვეს ვიმყოფებოდი ბამზე, სულ მძღოლებთან, დურგლებთან, მხერხავებთან, ტყის მჭრელებთან ვტრიალებდი და ერთი ულაზათო შელაზღანდარება არ მინახავს, ერთი გინება არ გამიგონია. ეს ქალების დამსახურებაა.

ოცი ქალია ნია გრუზინსკაიაში და ყოველ ბამელს ისინი საკუთარი ოჯახის წევრად, ღვიძლ დად მიაჩნია. თითოეულ ბამელ ქალ-ში ისინი ახლობელს ხედავენ და საქალეთი რომ გაწყდეს, ცუდად არ შეხედავენ დის ზიარს.

ზოგჯერ უსტ-კუტში, ზვიოზდნიში ან სხვაგან უხდება წასვლა რომელიმე ნიელ ქალს. იგი თამამად ჯდება კაბინაში მძღოლ-თან. უამინდობის და უგზოობის გამო შეიძ-ლება ეს მგზავრობა მთელ დღეღამესაც გაგ-რძელდეს, მაგრამ არავინ ღალავს, ქალს არავინ აკადრებს უკადრებელს.

მამაკაცების ამ რაინდულ დამოკიდებუ-ლებას ღირსეულად აფასებენ ნიელი ქალე-ბი. დაკერებაზე, გარეცხვაზე და გაუთოვე-ბაზე უარს არეუბნებიან მშენებლებს. თი-თოეულ ქალს საკუთარი ღირსების შელახ-ვად მიაჩნია, თუ რომელიმე ნია-გრუზინსკე-ლი ვაჟკაცი გამოხეული შარვლით გაივლის, ან გამოკოპწიავებული არ გაემგზავრება და-ბიდან.

სადაბო საბჭოს არჩევნები ეწყობოდა. ნია-გრუზინსკაიაში გაიმართა წინასაარჩევნო კრება, სადაც დეპუტატობის კანდიდატი უნ-და დაესახელებინათ. ბევრი მოწინავეა ქარ-თველ მშენებელთა დაბაში, მაგრამ საარჩევ-ნო კრების ყველა მონაწილემ დეპუტატო-ბის კანდიდატად თამილა შიოშვილი დაასა-ხელა.



ექიმი დოდო ჭუმბურიძე

თამილა ღირსია ამ დიდი პატივისა. მიუ-ხედავად იმისა, რომ სამი მცირეწლოვანი ბავში ჰყავდა, მეუღლესთან, მექანიზატორ ვანო ჯაშიაშვილთან ერთად გამოემგზავრა ბამზე და ვაჟკაცების მხარდამხარ ინაწი-ლებს დიადი მშენებლობის ტვირთს. რამდე-ნიმე ოჯახია ნია გრუზინკაიაში. ოჯახები თანდათან მრავლდება. ამაში გარკვეული წვლილი თამილა შიოშვილსაც ეკუთვნის. იგი, როგორც დეპუტატი, ზრუნავდა, რომ დაბაში გახსნილიყო სკოლა, გაუმჯობესე-ბულიყო საყოფაცხოვრებო პირობები. რაკი სკოლა გაიხსნა და ბინის გასაჭირი აღარ არის, მშენებლებს ციმბირში ჩაჰყავთ ცოლ-შვილი, უცოლოები კი საქართველოში ჩამო-დიან და პატარძლით ბრუნდებიან ნიაზე.

ნიას პირველი პატარძალი მზისა თოდუაა. პირველი ქართველი ბამელის ვალერი რუ-ხაიას მეუღლე. ვერ ვიტყვით, რომ ქორწი-ნებას დიდი სიხარულით შეხვდნენ მზისას დედა და ახლობლები. არ უნდოდათ „გა-დასაკარგავში" გაეშვათ ქალიშვილი. მაგრამ ყოველთვის დამჯერე მზისამ, ამჯერად აღარ დაუჯერა ახლობლებს, ბამზე გაჰყვა ვალე-რის. ამის მიზეზი მარტო ვალერის სიყვარუ-ლი არ ყოფილა. კომკავშირელ გოგონას ანდამატივით იზიდავდა რომანტიკით აღსავსე

მშენებლობა. ახლობლების განწყენების გარდა, მზისამ სხვა მსხვერპლიც გაიღო. იგი საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების მეხუთე კურსის სტუდენტია, რა თქმა უნდა, ზუგდიდიდან უფრო ადვილი იყო ინსტიტუტში მისვლა, ვიდრე რვა ათასი კილომეტრით დაშორებული ტაიგიდან. მაგრამ მზისა გულს არ იტეხს. ვალერი რუხაიაც ხომ მისი თანაკურსელია. დღისით ორივენი სამუშაოზე არიან, საღამოს კი წიგნებსა და კონსპექტებს ჩაუჯდებიან ხოლმე.

მზისა ძალიან ემადლიერება თამილა შიოშვილს. მათი ოჯახები ერთმანეთის გვერდით ცხოვრობს. მზისა დამწყები დიასახლისი იყო, თამილა კი — გამოცდილი. კერძების გაკეთება, კერვა და ბინის მოწყობა-დალაგება, რა თქმა უნდა, მზისას ისე არ ეხერხებოდა, როგორც თამილას. ამიტომ იგი გულისყურით ისმენდა უფროსი მეგობრის რჩევას.

ნია შრომობს და სწავლობს. ახლა ნიაზე ოცდაორი სტუდენტია, ოცზე მეტი კი —



მედიცინის დები ციალა კოვნაძე და მარიკა კაპანაძე



სასურსათო მაღაზიის გამყიდველი ლილი ძამნაშვილი

ირკუტსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებაზეა ჩარიცხული. კიდევ ბევრი ემზადება უმაღლესისათვის. მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც ჯერ საშუალო სკოლა არ დაუმთავრებიათ. მათთვის მუშა ახალგაზრდობის სკოლაა გახსნილი. სკოლას ნატო მეტონიძე ხელმძღვანელობს. ნატომ დიდი პედაგოგიური ალღო და ცოდნა გამოამჟღავნა. ჩემი ბამზე ყოფნის პერიოდში რაიონის განათლების განყოფილებიდან სკოლის შესამოწმებლად კომისია ამოვიდა. კომისია ფრიად კმაყოფილი დარჩა სკოლითაც და ნატო მეტონიძის საქმიანობითაც. პატარა ნიელები კი მესამე მეოთხედიდან შეუდგნენ სწავლას. მშენებელთა დაბებს შორის, ნია-გრუზინსკაია ერთ-ერთი პირველია, სადაც რვაწლიანი სკოლა გაიხსნა. ამ სკოლის დირექტორობა დაეკისრა ცნობილ სპორტსმენს, ოლიმპიური თამაშების პრიზიორს, ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილს, რომელიც პროფესიით პედაგოგია. ნადეჟდა პავლეს ასული თავის ქალიშვილთან, მეხუთეკლასელ ნინიკოსთან ერთად ჩამოვიდა ნია-გრუზინსკაიაში, სადაც მისი მეუღლე ანზორ დვალიშვილი მშენებლობის უფროსად მუშაობს.

ბამი რომანტიკის მხარეა. იგი ახალგაზრდული ენერგიით ავსებს ყველას. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა აქ, ბამის მშენებელთა შორის შევხვდი ნათელა მახარაძეს. მე და ნათელა 1956 წელს ერთად ვიყავით ყამირზე. მე — სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, ის — რუსთავის მშენებელი ახალგაზრდების წარმომადგენელი. ნათელას ოცი წლის შემდეგაც შერჩენია ახალგაზრდული შემართება, სიძნელეთა გადალახვის უნარი. იგი თავის მეუღლესთან, ვიქტორთან ერთად ამ ორი წლის წინ კამის ავტოქარხნის დამკვრელურ მშენებლობაზე გაემგზავრა, შემდეგ კი ბამის ქართველ მშენებლებს შეუერთდნენ. ვიქტორი დურგალია, ნათელა კი — ყველაფრის ოსტატი, დურგლობაც იცის, მღებაობაც, მეამწეობაც. ასეთი ხალხი წამალივით სჭირდებათ ბამზე. ნათელა ჩაუყენეს სათავეში ამას წინათ შექმნილ ქალმშენებელთა ბრიგადას.

ბამი მეგობრობის მხარეა. აქ მთელი სიდიადით ჩანს ძმობის ძალა. სხვადასხვა რესპუბლიკების წარმომადგენლები ერთმანეთს ერთგულად უდგანან მხარში, ერთმანეთს ეხმარებიან სამშენებლო მასალით, ტექნიკით, ხალხით. თუ რაიმე გაჭირვებაა, ერთიანი ძალით ებრძვიან.

ასეა ნია-გრუზინსკაიაშიც. ას ორმოცი კაცი შრომობს ქართველ მშენებელთა დაბაში, მათ შორის ოცდაათი რუსი, უკრაინელი, სომეხი, თათარი და სხვა ეროვნების წარმომადგენელია. ქართველი ქალების მხარდამხარ შრომობენ რუსი ვალენტინა სილანტიევა, უკრაინელი გალინა ლუშჩი. ერთგულად მეგობრობენ და მეზობლობენ ოჯახებიც. მაგალითად ზაურ მეტონიძისა და რაფაელ მელქუმოვის ოჯახებს არაფერი აქვთ გაყოფილი, სტუმარიც — კი. ერთ ოჯახში რომ მიხვიდეთ, მეორესთან უთუოდ მოგიწევთ სტუმრობა. ზაურ მეტონიძე და მისი მეუღლე ნატო ქართველები არიან, რაფაელ მელქუმოვი სომეხია, მისი მეუღლე — ალა — რუსი. ეს ინტერნაციონალური ოჯახი ნია-გრუზინსკაიას შრომისა და ცხოვრების თავისებურ სიმბოლოს წარმოადგენს.

...საუკუნის მაგისტრალი შენდება. ციმბირის ტაიგა უკან იხევს. აურაცხელ სიმდიდრეთა მხარეს იმორჩილებს საბჭოთა ადამიანის მარჯვენა. ამ გმირ მოლაშქრეთა შორის საქართველოს ქალებიც არიან.

ვლადიმერ გოგოლაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისევ მოვა გაზაფხული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარკვევი ყრილობის დელეგატზე

ის ყოველდღე მიდიოდა ხაბუმედან მოსკოვამდე — ხან ჩქარი მატარებლით, ხან თვითმფრინავით. ყოველდღე კი არა, დღეში რამდენჯერმეც. და იცნობდა მხოლოდ ორ დასახლებულ პუნქტს — ხაბუმეს და მოსკოვს.

ეს იყო ბავშვობაში. ეს იყო მაშინ, როცა, ყველა გაიკრიფა ხაბუმედან, ვისაც ბრძოლა შეეძლო, საქართველოდან ყველა წავიდა რუსეთისაკენ, სადაც იცავდნენ სტალინგრადს, კიევს, მოსკოვს.

იმ მწარე ბავშვობაში, როცა მჭადის თითო ნაჭერს ურიგებდა დედა ხუთ შვილს, როცა ჯერ კიდევ დაუმწიფებელ ხილს შეესეოდნენ ხუთივენი და დამწიფებამდე მოლევდნენ, როცა სანახევროდ შიმშილს მდინარე ხობისწყალში ცურვით იკლავდნენ — მათ ლამაზ ხაბუმეში, მათ ლამაზ სახლში ყველა გაჭირვებას ხსნიდა ლევიტანის ხმა. და რადიოსთან გოგონა თვალს არ ახამხამებდა, — ლაპარაკობდა მოსკოვი, მათი გადამრჩენელი, მათი იმედი, სადაც მუშავდებოდა გენიალური აზრები მტრის დამარცხებისა, ომის მოგებისა.

ამიტომაც ოცნებით მოსკოვზე შეყვარებული ყოველდღე ჯდებოდა ჩქარ მატარებელში, თუ თვითმფრინავში, გაფრენამდე ერთხელ კიდევ წარმოიდგენდა წითელ მოედანს, კრემლს და სტოვებდა ხაბუმეს.

ოცნება ყველასა აქვს, მითუმეტეს ბავშვობაში. ასეთი იყო ეთერ ცირამუას ოცნება ომის წლებში.

— ეთერი...

— ეთერი, ეთერი...

დედის ხმას იმეორებდნენ მინდვრები, ჭალები და ხობისწყალში ჩაყვინთულ გოგონასაც მისწვდებოდა ეს გამოძახილი.

— ეთერი... წამოდი ჩაიში!

გოგო თავს ვერ ანებებდა გიჟურ ცურვას, ერთხელ კიდევ, ერთხელ კიდევ გავცუროო, თანაც ეს წყალუხვი მდინარე უკვე დამთბარიყო, და გასაოცრად ელერსებოდა.

— წამოდი ჩაიში, წამოდი ჩაიში! — დედის სიტყვები მოჰქონდა ჭალებს და შიშველ, შეუმშრალ ტანზე მოხდენილად ჯდებოდა ჩითი. გარბოდა ფეხშიშველი, ლამაზი, მაღალი წვივებით და გზადაგზა იწურავდა სველ ნაწნავებს.

პლანტაციაში შუადღეზე მზე ავდებოდა. მაგრამ არ ინძრეოდნენ ქალები. განახევრებულ, სოფელში მხოლოდ ისინი ქმნიდნენ დოვლათს. მზე სამხრობდა, ქალებს არ ეცალათ სამხრისთვის.

როგორია ბავშვის შრომა მდუმარე ქალის გვერდით, პირგამეხებული, ტუჩებდამუწუწული ქალის გვერდით, რომელიც ყოველდღე, ყოველწუთს ელის ქმრისგან, ძმისგან, სატრფოსგან წერილს:

მძიმეზე მძიმე.

და ეთერს ერჩია წასულიყო ბრძოლის ველზე, ვიდრე აქ მდგარიყო მდინარეში ნაბანავები და ეკრიფა ჩაი.

ერთხელ ჩაუთქვა თავის თავს — თუ გავიმარჯვე და დავამყარე რეკორდი, მაშინ ომიც გამარჯვებით დამთავრდებაო.

და მეშვიდეკლასელი ეთერ ცირამუა დილით გავიდა პლანტაციაში. იქ იყვნენ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მამია ზოდელავა, ჩხოროწყუს რაიონის კომკავშირელი მუშაკები, კოლმეურნეობის წევრები, თავმჯდომარე, მეზობლები, მეგობრები.

კალათებისთვის ხელი არ უხლია, ისინი სხვებს მოჰქონდათ მის გვერდით ორივე მხარეს. დიდი ჩალის ქუდიდან გაფითრებული ლამაზი ცხვირპირი მოუჩანდა. თვალს ზევით არ სწევდა. შეუყვა ბუჩქებს. მიდიოდა და უკან მიჰყვებოდნენ. ელვის სისწრაფით ხტოდნენ მისი ხელები ბუჩქებზე. შუადღისას ოფლმა დაუსველა გულისპირი. წყალიც არ მოუთხოვია. საღამომდე ლუკმა არ ჩაუდვია პირში. სხვებიც დაღალა, მოაშივა და მოაწყურა. ხუთი ურემი გაავსო ფოთოლმა. ათობით კალათი დაიცალა. მზე ახლადჩასული იყო, რომ შემოელია ბუჩქები. ისე იყო მომართული, გაჩერებას ვეღარ ახერხებდა, ხელში შემოადნა ნახევარი ჰექტარი პლანტაცია. კიდევ რომ ყოფილიყო ბუჩქები, წყვდიადის ჩამოსვლამდე ბევრს მოკრეფდა. 700 კილოგრამი გამოვიდა იმდღევანდელი ნაშრომ-ნაჯაფარი.

ერთ დღეში 700 კილოგრამი ჩაი მოკრიფა მეშვიდე კლასის მოსწავლემ ეთერ ცირამუამ და 108 შრომადღე გამოიმუშავა. ეს იყო კომკავშირელი გოგონას რეკორდი რესპუბლიკაში.

გაზეთები აჭრელდა სურათებით და მილოცვებით. გოგონას კი მედალი ჩამოჰკიდეს შრომითი მამაცობისათვის.

სკოლა რომ დაამთავრა, ახალტანაყრილი ჩაის პლანტაციები მიუზომეს ნახევარ ჰექტარზე და რგოლის მეთაურობა ანდეს.

ის რგოლი ჰყავს დღესაც და იგივე ფართობი აქვს მოსავლელი. ხოლო ბუჩქები გაიზარდნენ და ყელყელაობენ, იმდენად თამამობენ, რომ ყელამდე სწვდებიან, გასხლავს ხოლმე და დაადინჯებს.

არა და ოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ.

დედის კვალზე წავიდა, მხოლოდ აჯობა საქმეში.

დედას ერთი ორდენი ჰქონდა, მას მრავალი აქვს:

ლენინის ორდენი,
ოქტომბრის რევოლუციის ორდენი,
შრომის დიდების ორდენი.

სამივენი კიაფობენ მრავალ მედლებთან და საპატიო ნიშნებთან ერთად. სულ ზემოთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ნიშანი უკეთია. არის სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს კომუნისტური პარტიის 21-ე, 22-ე და 25-ე ყრილობების დელეგატი. და აი, სულ ახლა მოსკოვიდან დაბრუნდა, სადაც საკავშირო კომუნისტური პარტიის 25-ე ყრილობას ესწრებოდა. საქართველოს კომუნისტური პარტიის 25-ე ყრილობამ რომ მუშაობა დაამთავრა, ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატმა ეთერ ცირამუამ თქვა: — ასეთი ყრილობა ჯერ არ მინახავს, — და იმდენად იყო მოხიბლული მისი მონოლითურობით, მისი გრანდიოზული ამოცანებით, საქართველოს მომავლის გეგმებით, რომ ფრთაშესხმული დადიოდა და თავისი ნაშრომი, ის, რაც პირადად გააკეთა, ძალზე უმნიშვნელო ეჩვენებოდა.

მერე რა, რომ 1947 წლიდან დღემდე 320 ტონა ჩაი აქვს მოკრეფილი.

მერე რა, რომ ნახევარ ჰექტარზე, გასულ წელს ათ ტონაზე მეტი ჩაი მოკრიფა; ან ის, რომ გასულ წელს მეათე ხუთწლედის პირველი წლის ანგარიშში იშრომა და წელს დაიწყო მეორე წლის საქმე; რომ მეცხრე ხუთწლედში 22 ტონა ჩაის ფოთლის ნაცვლად 40 ტონა ფოთლით დახურა; რომ მის რგოლში 24-ვე ქალი მოწინავეა და მას არ ჩამორჩებიან; რომ მთლიანად რგოლმა 136 პროცენტით შეასრულა ხუთწლიანი გეგმა და მარტო შარშან 54 ტონის ნაცვლად 85 ტონა ფოთოლი ჩააბარა სახელმწიფოს.

მერე, რა, მერე რა!

მთავარი იყო ხარისხი და ხაბუმელი მეჩაიეების ნაშრომში 73 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო.

მეათე ხუთწლედი ხარისხის ხუთწლედია. მთავარი შეტევა ახლა იწყება, რომ გაიზარდოს ხარისხის პროცენტული მაჩვენებელი. ახლა იწყება ახალი ვალდებულებები. მარტო ეთერი მეათე ხუთწლედის მეორე წლის ანგარიშში 11 ტონა ფოთოლს მოკრეფს, მთლიანად რგოლი კი — 100 ტონას.

მოსკოვში საღამოობით დიდხანს დადიოდა ქუჩებში და ფიქრობდა:

დედის კვალს გაჰყვა და დედასავით უყვარს შრომა.

დედასავით ხუთი შვილი გაზარდა.

დედასავით მოწინავეა კოლმეურნეობაში და ახლა რომ დედა ჰყავდეს, ალბათ შეჯიბრში გამოიწვევდა.

დადიოდა ქუჩებში და უხაროდა, რომ ვერავინ ამჩნევდა, ნაცნობები არ აჩერებდნენ, ფიქრს არ აწყვეტინებდნენ. უხაროდა, რომ იყო ადამიანი, და მის სასიკეთოდ და საკეთილდღეოდ ასე მხურვალედ ილვწოდნენ ყრილობაზე. უხაროდა, რომ მისთვის და მისთანებისთვის იცავდნენ მშვიდობის პოლიტიკას, იმუშავებდნენ მისი ცხოვრების, მისი კეთილდღეობის ღონისძიებებს, რომ სოფელი, მისი ხაბუმე მეათე ხუთწლედში შრომას შეუდგება მექანიზაციის სრული გამოყენებით, რომ კიდევ უფრო გამდიდრდება მისი კოლმეურნეობა, ყველა კოლმეურნეობა ჩვენს დიდ ქვეყანაში, რომ ხაბუმე სხვა სოფლებთან ერთად კიდევ უფრო დაემსგავსება ქალაქს (თუ დღეს აქვთ კომფორტი შინ და კეთილმოწყობა სოფლად. ხვალ კიდევ უფრო მეტი ექნებათ).

თეთრად ათენებდა ღამეებს, ძილი არ ეკარებოდა, უყურებდა მოსკოვის ციდან თეთრად ჩამოსულ ფანტელებს და ბრაზობდა თოვლზე.

თოვლი არ უშვებდა ამ ზამთარს თავის პლანტაციაში და შინ გულმოსული აწყდებოდა კედლებს, უსაქმოდ მიაჩნდა თავი. ზაფხულობით ასე არ უთმობს ბუნებას. როცა წვიმს, ცაც რომ ჩამოვიდეს ძირს, მაინც კრეფს ფოთოლს წვიმის ჯინაზე.

ახლა მაინც, წელს მაინც როგორ შეიძლება წუთის მოცდენა, როცა ყოველი სტრიქონი ყრილობის გადაწყვეტილებებისა, ადამიანების სასიკეთოდ ლაპარაკობს. და ციდან ჩამოსულ თეთრ ფანტელებს მუქარას უთვლიდა ფანჯრიდან. ვაი თუ, მის ხაბუმეშიც თოვს. მაინც გავა და თოვლს გადაყრის ბუჩქებიდან, ცეცხლს დაანთებს და გაადნობს ყინულს, შრომის სურვილის დიდ ცეცხლს.

და ეჩვენებოდა, რომ დნებოდა თოვლი, მიდიოდა პატარა ღელეები, მერე ისინი ერთდებოდნენ, ჩადიოდნენ ნაკადულებად ხობისწყალში, დიდდებოდა ხობისწყალი, ნაპირს გადმოდიოდა, ღელავდა და ეძახდა ეთერს...

ამ მდინარეში გაიზარდა, აქ ისწავლა სიკეთე, კაცთმოყვარეობა, გარჯის ფასი. მდინარემ მისცა ჯანმრთელობა, შრომის ხალისი. ყოველ ზაფხულს, ყოველი დღის ყოველ საღამოს, როცა უკანასკნელ კალათს დაცლის და ცარიელს გვერდზე მოიდებს, მიდის ეთერი ხობისწყალთან. ბინდია. ტანზე იხდის და ეწევება გრილ ტალღებში. აქ ხვდება ბავშვობა, ოცნებები და მომავლის მოლოდინი:

ნეტა, ჩქარა მოვიდეს გაზაფხული!

ლია კაკაბაძე

ლილი ნუცუბიძე

## დედის ლოცვა

შვილებს არ შეხვდეთ გზაზე ეკალი?
ნუ დამილოცავთ შვილებს ამრიგად, —
მომავალს ბრძოლა სჭირდება როცა
წყევლას უფრო ჰგავს ამგვარი ლოცვა!

შვილებს არ შეხვდეთ გზაზე ეკალი?
ასეთი ლოცვა ღმერთმა აშოროთ,
მაშ ვინ ჩაიცვას ტანზე ბეგთარი,
ვინ უერთგულოს მაშინ სამშობლოს?

ახლაც გვინათებს მომავალს მზე ვით,
ჩვენი შამქორი, ჩვენი მარაბდა,
ყველას რომ ევლო უეკლო გზებით
ამ ლურჯ მთებს ვინღა დაიფარავდა?

ვინ ააგებდა გრემსა და გელათს,
ვარძიას — ცაზე აკრული ჭერით,
უეკლო გზით რომ იაროს ყველამ
ვინ გაამაგროს მამულის ბჭენი.

როგორ შევხედო პაატას თვალებს
მამულისათვის ჩამქრალს, დარდიანს,
იმ სახელოვან დედებს და ქალებს,
მეფე ერეკლეს, ცოტნე დადიანს!

შვილებს არ შეხვდეთ გზაზე ეკალი?
ასეთი ლოცვა ღმერთმა აშოროს,
მაშ, ვინ ჩაიცვას ტანზე ბეგთარი
ვინ უერთგულოს მაშინ სამშობლოს.

ეს არის ჩემი ლოცვა და ფიცი
უნდა იმძლავრონ და იარწივონ
სამშობლოსათვის დაღვარონ სისხლი
და თუ დასჭირდა, თავიც გასწირონ!

იზო ცარციძე

## საჩუქრად ჰქონდეს

ეს ჩემი ლექსი
ღიმილს და ცრემლებს —
ჩემს ცელქ მეგობრებს
ალალს და წრფელებს,
ეს ჩემი ლექსი —
პატარა ღელეს,
და მოცახცახე
დაღალულ ხელებს...
ალერსით მზირალ
მშვენიერ თვალებს,
მოსიყვარულე ოჯახის ქალებს,
ეს ჩემი ლექსი —
ყამირებს მოხნულს,
პატარა ბავშვს თუ
ასი წლის მოხუცს,
მინდვრის ყვავილს თუ
ჩიორას ციცქნას,
სულ მთელ ქვეყანას,
ზეცას თუ მიწას,
მაღალ მწვერვალს თუ
პატარა კორდებს,
ჩემგან უმცირეს
საჩუქრად ჰქონდეს!..

ეროვნული

## მადლი შენ ბავშვის უმანკო თვალო

მადლი იმ დღეთა მშობლიურ სოფელს,
ნამში მსხვრევით რომ თრთის და კამკამებს.
იმ დილებს, იმ ცას, ბალახს და ღობეს
და მოხამხამე, ფოთლის წამწამებს!

რა დამავიწყებს იმ სახლს და ეზოს,
სადაც ჩემს ლამაზ ბავშვობას ძინავს,
იმ შარას, იმ ძველ ჭიშკარს და ფერდობს
იმ მზიან დღეებს, ქარსა და წვიმას!

მადლი იმ დღეთა ურყვნელ მშვენებას,
თვალებზე ხიბლით რომ ალმბეჭდია,
რიჟრაჟის ნისლს და შემოთენებას
და ცაში თეთრი ღრუბლის ხეტიალს!

მადლი იმ ლურჯ ქედს და მთების ნიავს,
მზეჩაღვრილ ტევრში ფრთამოფართქალეს,
თვალწინ გადახსნილ საზღაპრო ციაგს
და საოცნებო თვლემას მალმალეს...

მადლი შენ, ბავშვის უმანკო თვალო,
ხილვებით ადრე შეძრულო სულო,
ყრმის დანახულო მიწავ და წყალო,
გამქრალო დროო, სავსევ და სრულო!

რამაზ ბარკალაია

## პატარებისათვის

შოთა ხოდაშნელი

### ზარმაცი ბელი

მამა დათვი ბრაზობდა:
გულზე ცეცხლი მედება,
რა ზარმაცი ბელი მყავს,
სახლში არც იხედება.

ან მაყალო დაბერტყოს,
ან თივები დაზვინოს.
ერთი სახლში დაბრუნდეს —
ჩემებურად დავზილო.

ბობრა ბელმა ბაჯბაჯამ
მუცელამ და ხრუტუნამ,
კარის ჭუჭრუტანიდან
უსმინა და უყურა.

...მერე დიდი გოდორით
მიეფარა ანწლიანს,
ღელელიანის გადაღმა
მაყალოზე გასწია...

ჯემალ მეხრიშვილი

# უსიტყვო ჰიმნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთი ბიჭი გაზარდა.

სამი ფრონტზე დაეღუპა.

ორი ისევ ჰყავს, დაცოლშვილებული, საღსალამათი.

ერთი თბილისში ცხოვრობს, მეორე — რუსთავში.

ქმარი ამ თერთმეტი წლის წინათ დამარხა.

დარჩა მარტოსული.

ხან ერთი ბიჭი ეხვეწება, ჩემთან წამოდიო, ხან — მეორე.

ორივეს უარს ეუბნება — ქმრისეულ კერას ვერ მოვშლიო.

დაბერდა. სამოცდაათს გადააბიჯა.

დღედაღამე ვენახში კუკუნებს.

როცა მუშაობის სეზონია, ბიჭები ვერ იცლიან. თვითონ კი აპარატს ველარა სძრავს. თუ ვინმემ შეუწამლა სამადლოდ, ხომ კარგი, არა-და წამალს ვედროში აყენებს და ვაზებს აიაზმასავით ასხურებს ცოცხით.

სხვლითაც სხვას ასხვლევინებს.

ველარც ბარს ერევა. ქმრისეული თოხით თუ შემოაცლის ვაზებს ძირწასა და შალაფას.

ზამთარ-ზაფხულ ვენახს დაჰკურკუტებს, შემოდგომობით კი დარდი აწვება, — ვაითუ ი გოგო-ბიჭები არ ჩამოვიდნენო.

იგვიანებენ, მაგრამ მაინც გამოჩნდებიან ხოლმე.

— რას ამბობ, დედი, რაც აქ ჩამოსვლაზე გვეხარჯება, იმით იქ რომ ვიყიდოთ, ჰეე.. ატამი ოცდაორი კაპიკი ღირს, ყურძენი — ორმოცი კაპიკი... ფულიც თავისთვის იყოს, დრო არა გვაქვს, დრო!..

მწიფესა და მკვახეს განუკითხავად ჩაჰკრეფენ ჩანთებსა და კალათებში, ერთხელ კიდევ ეტყვიან: მიყიდ-მოყიდე აქაურობა და ჩვენთან წამოდიო, და ჰაიდა ქალაქისკენ...

ყოველდღე ვენახისკენ მიმავალს ვხედავ: ან თოხი უჭირავს, ან კალთით ნაკელი მიაქვს.

თავის დღეში საგზალს არ წარიტანს. ერთი ლიტრა წყალი თუ წაიღო, ეგ არის და ეგ.

მადა გაუქრა.

დღეში ერთხელ სჭამს, ისიც მიმწუხრზე. ან ჭრიანტელს გაიკეთებს, ან ფქვილის შეჭამანდს. უფრო ხშირად ხარჩოს აიდუღებს ხოლმე.

დღითიდღე უძლურდება, იმ დღეს დერეფანში ჩაიკეცა. წამოვაყენე, სახლში შევიყვანე და ლოგინში ჩავაწვინე.

ეგონა, ვკვდებიო, ერთი ხელი თალხი, ახალთახალი ტანისამოსი მომატანინა.

ექიმი მოვუყვანე.

ექიმმა გასინჯა, წამლები გამოუწერა და წავიდა.

გუშინწინ რაიონიდან წამლები ჩამოვუტანე.

გუშინ კი ქუჩაში გამოვედი და რასა ვხედავ: თოხი და ლიტრა აუღია და ვენახისაკენ მილასლასებს.

— რატომ ადექი, ბაბო?

— შენა ხარ, ბიჭო?.. წამლებზე უფრო ფინთი გული მიხდება, შენმა დაბერებამ. ვენახში ტრიალს გულს გადავაყოლებ, გავერთობი... თუ არა ვაკეთე რა, იგრე ვერა ვძლებ.

და კანკალით მიუყვება ორღობეს.

ვუცქერი და მის მოხრილ, თოხგადადებულ ფიგურაში შრომის უსიტყვო ჰიმნი იხატება.

## უმისამართო ბარათები

ძვირფასო რედაქცია:

რამ გადამაწყვეტინა ამ წერილის დაწერა? იქნებ, იმან, რომ ახლოვდება 8 მარტი. — ქალების საყოველთაო დღესასწაული და საკუთარ უბედობასა, თუ სხვა რამე სატკივარს სწორედ დღესასწაულის დღეს უფრო მწვავედ გრძნობს ადამიანი მე დედა ვარ და დედის გულისტკივილზე მსურს გესაუბროთ. ვიცი, რომ, სამწუხაროდ ბევრი დედაა ჩემს დღეში, ბევრიც უარესში, რადგან მე ჩემი საკუთარი ოჯახიც მაქვს და შვილისა და რძლისგან თბილი, კეთილშობილური დამოკიდებულების მეტი არაფერი მჭირდება, მაგრამ ხომ არიან დედები, რომლებიც შვილებზე არიან დამოკიდებული და ამით — სიბერეში გამწარებულნი?

თქვენს ჟურნალში ხშირად იბეჭდება წერილები მეტად საჭირბოროტო და მტკივნეულ საკითხებზე — რძალ-დედამთილის, რძალ-მულისა თუ სიძე-სიდედრის ურთიერთ დამოკიდებულებაზე. მე რძალიც ვიყავი და დედამთილიც გახლავართ. დედამთილისა და ქმრის ნათესაობისათვის № 1 რძალი ვიყავი (ასე ამბობდნენ ღიმილით). სხვათაშორის, მეცა მყავს ასეთი რძალი — ძმის ცოლი. მაგრამ შვილის? შემიძლია დავიფიცო, რომ როგორც დედამთილისათვის, ასევე რძლისათვის არასოდეს არაფერი მიწყენინებია. მეზობლები ჩემს მზეს ფიცულობენ, ნაცნობმეგობრებიც კარგ სამეგობრო ადამიანად, მთვლიან. ალბათ, გიკვირთ, თავს რომ ვიქებ. მაგრამ ჩემს ვინაობას ხომ არა გწერთ? ამას ყველაფერს კი იმიტომ აღვნუსხავ, რომ მე თვითონ მსურს, გავაანალიზო ჩემი მდგომარეობა, გავერკვე, რატომ დამემართა ასე.

მარტოდმარტომ, საკუთარი მხრებითა და გულით გავზარდე შესანიშნავი ვაჟკაცი. ჩემს ვაჟიშვილს ძლიერ ვუყვარდი, ალბათ, იმასაც გრძნობდა, რა ამაგი მქონდა მასზე და ქვეყნად ჩემი ფასი არავინ ჰყავდა. ბუნებრივია, რომ საერთოდ ყველა დედაა თავდადებული შვილისათვის, მაგრამ მას სწამდა, რომ მე — განსაკუთრებით.

არიან დედამთილები, რომლებიც შვილსა და რძალს სულ რაღაც მოთხოვნებს უყენებენ, ავალდებულებენ, რომ ხშირად მოინახულონ, პატივი სცენ.

მე ამ კატეგორიას არ ვეკუთვნი. საკმარისია, რძალი ოდნავ წარბშეხრილი დავინახო, რომ იმ არემარეზე საერთოდ აღარ გავიარო. ხომ უნდა გავუწიო შვილს ანგარიში, რომ ჩემს გამო ცოლთან უსიამოვნება არ ექნეს!

ერთხელ მათს ოჯახში ვიგრძენი, რომ არც თუ ისე სასურველი სტუმარი ვიყავი. მას აქეთ, საერთოდ აღარ მივსულვარ მათთან და, წარმოიდგინეთ, შვილს ერთხელაც არ უთქვამს — დედა, რატომ არ მოდიხარ ჩვენთანო.

რაც დაცოლშვილდა, ჩემს ვაჟს ერთხელაც არ მოულოცავს ჩემთვის 8 მარტი. მისი დანახვა ამომავალი მზის, დანახვას მირჩევნია, მაგრამ, ვაი, რომ ესეც იშვიათად ხდება!

ყველა გულისტკივილს წერილში ვერ ჩავტევ. ალბათ, თქვენთვის ისედაც ყველაფერი გასაგებია. ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი დედაა ჩემსავით გულდაწყვეტილი. ასე რომ არ იყოს, გამონაკლისს რომ წარმოვადგენდე არც შეგაწუხებდით. ამასწინათ, ჩემი მეგობარი დაბრუნდა სანატორიუმიდან და მიამბობდა: „რომ მესმოდა, მეტი თემა არც იყო — რძალი და დედამთილი. რძლები დედამთილებზე ლაპარაკობდნენ, დედამთილები — რძლებზეო“. თვითონ არ არის დედამთილი, თორემ მიკერძოებაში ჩამოვართმევდი. თვითონ სიდედრია. სხვათაშორის, სიდედრები უფრო კმაყოფილები არიან სიძით, ვიდრე დედამთილები — რძლით.

გთხოვთ, ძვირფასო რედაქცია, კვლავაც დაბეჭდოთ ამ საკითხზე წერილები. იქნებ, ზოგიერთ გულში სინდისის ქენჯნამ გაიღვიძოს? იქნებ, ვიღაცის ცხოვრება სასიკეთოდ შეტრიალდეს?

და თუ ეს არ მოხდება, ჩვენ, დედებს იმ წერილების წაკითხვით გულს ხომ მაინც მოგვეფონება...

**ნ. დ.**

**თბილისი**

ი. ბუნინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩანგის სიზმრები

მოთხრობა

განა სულერთი არ არის, ვისზე ან რაზე ილაპარაკებ?! ამას ხომ დედამიწაზე მცხოვრები ყველა სულიერი იმსახურებს!

ოდესღაც ჩანგიც გაეცნო ამ ქვეყანას და თავის პატრონს — კაპიტანს, რომელთანაც მთელი თავისი ამქვეყნიური არსებობა დააკავშირა. მას შემდეგ კი მთელი ექვსი წელი გავიდა, ისე ჩაიცალა წლები, ვით ქვიშა გემის ქვიშის საათში.

აი, ისევ ღამე იყო. სიზმარია ეს თუ ცხადი? და კვლავ გათენდა! ცხადია თუ სიზმარი? ბებერია ჩანგი, ლოთია ჩანგი, ნიადაგ თვლემს.

ოდესაში ზამთარია. პირქუში, ავი დარი დგას, ჩინეთის იმ ამინდზე უარესი, როცა ჩანგი და კაპიტანი ერთმანეთს შეხვდნენ. წვნიანი, ბასრი თოვლი უშენს, ირიბად ეცემა ცარიელ ზღვისპირა ბულვარის ასფალტს, მტკივნეულად ეხლება სახეში ყველა ებრაელს, რომელთაც ხელები ჯიბეებში ჩაუწყვიათ და მოკუზული უნდილად გარბიან ხან მარჯვნივ, ხანაც მარცხნივ. ასევე ცარიელი ნავსადგურისა და თოვლით დაბურული ყურის მიღმა ძლივს მოჩანს შიშველ ველთა ნაპირები. სქელი, ლეგა ბოლი ასდის მიწაყრილს, რომელზეც დილიდან საღამომდე დაგორავს ზღვა ტალღების ქაფიანი მუცლებით. წკრიალით უსტვენს ქარი მავთულებში...

ასეთ დღეებში ქალაქში ცხოვრება ადრე არ იწყება. არც ჩანგი და კაპიტანი იღვიძებენ დილაუთენია.

ექვსი წელი გავიდა მას შემდეგ. ბევრია ეს თუ ცოტა? ამ ექვს წელიწადში ჩანგი და კაპიტანი დაბერდნენ. კაპიტანი კი ჯერ ორმოცისაც არ არის. რა უხეშად შეიცვალა მათი ბედი. ახლა ისინი ზღვებში აღარ დაცურავენ, როგორც მეზღვაურები იტყვიან, „ნაპირზე“ ცხოვრობენ, ოღონდ იქ კი აღარ, სადაც ოდესღაც სახლობდნენ. ვიწრო, კარგა ბნელი ქუჩის ხუთსართულიანი სახლის ნახშირის სუნით გაჟღენთილ სხვენზე აქვთ ბინა, იმ ებრაელების გვერდით, ოჯახში რომ საღამოხანს ბრუნდებიან და კეფაზე მოგდებულ ქუდს არც კი იხდიან ისე ვახშმობენ. ჩანგისა და კაპიტნის ოთახი დიდია და ცივი, ჭერი — დაბალი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ ბნელა კიდეც: დაქანებულ სახურავ-კედელში გაჭრილი ორი პატარა მრგვალი ფანჯარა გემის სარკმლებს მოგაგონებთ. ფანჯრებშუა რაღაცა კამოდის მსგავსი დგას, მარცხნივ, კედელთან რკინის ძველი საწოლია. აი მთელი მოწყობილობა ამ მოსაწყენი სადგომისა, თუ არ ჩავთვლით ბუხარს, საიდანაც ნიადაგ გრილი ნიავი უბერავს.

ჩანგს ბუხრის იქით სძინავს, . კუთხეში, კაპიტანს — საწოლზე. როგორია იატაკამდე ჩაზნექილი ეს საწოლი და ნაალი, ადვილად წარმოიდგენს სხვენზე ნაცხოვრები ყველა კაცი. ბინძური ბალიში ისე თხელია, რომ კაპიტანს ქვემოდან ჯუბის ამოდება უხდება. ეს კია, ამ საწოლზე კაპიტანს ძალიან მშვიდად სძინავს, წევს პირაღმა, თვალდახუჭული, ნაცრისფერი, მკვდარივით უძრავი. რა მშვენიერი საწოლი ჰქონდა ადრე! მილაგებული, მაღალი, უჯრებიანი! ფუმფულა, მოხერხებული ლოგინით, თხელი, სრიალა ზეწრებითა და თოვლივით ქათქათა, გრილი ბალიშებით! მაგრამ კაპიტანს მაშინ, რყევის დროსაც არ ეძინა ისე მაგრად, როგორც ახლა, ძალიან იღლება მთელი დღის განმავლობაში, თანაც რაზე შეიწუხოს თავი, რა გამოეპარება ძილში, რითი გაახარებს ახალი დღე? — ჰქონდა წინათ კაპიტანს ორი სიმართლე, ნიადაგ ერთმანეთს რომ ენაცვლებოდნენ: პირველი — სიცოცხლე რომ აუწერლად კარგია, მეორე — სიცოცხლეს მხოლოდ გიჟებისთვის აქვს აზრი! ახლა კაპიტანი ამტკიცებს: იყო, არის და იქნებაო უკუნიდან უკუნისამდე მხოლოდ ერთი სიმართლე, უკანასკნელი სიმართლე, ებრაელობის სიმართლე, უცნობი ტომის — ეკლეზიასტეს ბრძენკაცის სიმართლე. ახლა კაპიტანი ხშირად ამბობს ხოლმე ლუდხანაში ჯდომისას: გახსოვდეს, ადამიანო, ჭაბუკობის ის მძიმე დღეები და წლები, რომელთა შესახებაც იტყვი: არა ვარ მათი კმაყოფილიო. — მაგრამ დღე და ღამე კვლავ რჩება, აი ისევ ღამე იყო და ისევ გათენდა. კაპიტანი და ჩანგიც იღვიძებენ.

ოღონდ კაპიტანი თვალს არ ახელს... რაზე ფიქრობს. იგი ამ წუთას, არ იცის ჩანგმაც კი, რომელიც იატაკზე წევს, ბუხართან, საიდანაც მთელი ღამე ზღვის გრილი სუნი გამოდის. მისთვის მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ კაპიტანი მთელი საათი იწვება ასე... ჩანგი გახედავს ხოლმე თვალმოჭუტული, ისევ დახურავს ქუთუთოებს და ისევ ჩასთვლემს. ჩანგიც ლოთია, დილდილობით თავი მასაც ამღვრეული აქვს, სუსტადაა, ქვეყნიერებას იმ ზიზღით შეიგრძნობს, რაც ასე ნაცნობია ზღვის დაავადებით შეპყრობილ ყველა მოგზაურისათვის. ამიტომაც ჩასთვლემს ხოლმე ჩანგი დილის საათებში, ჩასთვლემს და მოსაწყენ, მტანჯველ სიზმარს ნახულობს.

იგი ხედავს:

გემბანზე უჟმური გამომეტყველების მოხუცი ადის; იგი იქვე ჩაცუცქდა და წუწუნს მოჰყვა, გამვლელ-გამომვლელს შესთხოვ'. იყიდონ მისგან ერთი აცმა აქოთებული თევზი, რომელიც თანა აქვს მოტანილი. მტვრიანი, ცივი დღე დგას ჩინეთის ფართე მდინარეზე: მღვრიე ზედაპირზე მოქანავე ნავში, ლერწმის აფრის ქვეშ მწითური ლეკვი ზის. კისერზე ხშირი, ხეშეში ბალანი ავლია, რაღაცა მელიისებრი და მგლისებრი აქვს, მკაცრად, ჭკვიანად აყოლებს შავ თვალებს ფერდის მაღალი რკინის კედელს ყურდაცქვეტილი.

— გირჩევნია ძაღლი გაჰყიდო! — მხიარულად, თითქოს ყრუს უყვირისო, გასძახის კოშკურაზე უქმად მდგომი კაპიტანი.

ჩინელი, ჩანგის პირველი პატრონი, ზევით იხედება, ყვირილისა და სიხარულისაგან გაოგნებული თავს უკრავს და ჰიხვინებს: **Vèy good, vèy good dog, vèy good!** ერთ საწყალ ვერცხლის მანეთად იყიდეს ლეკვი და ჩანგი დაარქვეს. იმ დღესვე ჩანგმა თავის ახალ პატრონთან ერთად რუსეთისკენ გასცურა. პირველ სამ კვირას დატანჯა ზღვის დაავადებამ, ისეთ ბურუსში იყო გახვეული,

*) ძალიან კარგი ძაღლია, ძალიან კარგი (დამახინჯ. ინგლისური)

რომ ვერაფერს ველარ ხედავდა. ველარც ოკეანეს, ველარც სინგაპურსა და ველარც კოლომბოს.

ჩინეთში შემოდგომა იწყებოდა, ავი დარი იდგა. შესართავში გავიდნენ თუ არა, ჩანგს გული აერია. წვიმა, წყვდიადი ეგებებოდათ პირისპირ. წყლის გაშლილ ზედაპირზე ქოჩორა ტალღები ელვარებდნენ. ირხეოდა, მოჰქროდა, ტყლაშუნებდა ლეგა-მწვანე, მოუქნელი წოწოლა ზვირთი. ბრტყელი სანაპიროები კი ერთურთს შორდებოდნენ და ნისლში ინთქმებოდნენ — სულ უფრო მატულობდა წყალი ირგვლივ. წვიმით მოვერცხლილ ქურქში გახვეული ჩანგი და წყალგაუმტარ, კაპიშონაწეულ პალტოში გამოწყობილი კაპიტანი ბოგირზე იდგნენ. ბოგირის სიმაღლე ახლა უფრო იგრძნობოდა, კაპიტანი განკარგულებებს იძლეოდა, აკანკალებული ჩანგი კი ქარს დრუნჩს არიდებდა. წყალი ფართოვდებოდა, იპყრობდა ავდრიან ჰორიზონტებს, ერწყმოდა კუნაპეტ ზეცას, ქარი ახმაურებულ ვეება ტალღებს შხეფებს აგლეჯდა, ზედ აწყდებოდა, საიდანაც მოხვდებოდა. ქვემოთ ყრუდ ადგაფუნებდა ტენტებს, რომლებსაც მძიმეჩექმიანი მეზღვაურები ხსნიდნენ, ხელით იჭერდნენ და ისე ახვევდნენ. ქარი დაეძებდა, საიდან დაერტყა უფრო მძლავრად, და როგორც კი მის გამო ნელი-ნელ თავდახრილმა გემმა მარჯვნივ აილო მკვეთრად გეზი, ქარმა იგი ისეთ ვეება, აქოჩრილ ზვირთზე აზიდა, რომ გემმა თავი ველარ შეიკავა, ტალღაზე დაგორდა და ქაფში ჩაენარცხა. შტურმანის ჯიხურში ზრიალით გადმოვარდა ფინჯანი, რომელიც მსახურს დარჩენოდა მაგიდაზე, და აი, იმ წუთიდან მოყოლებული კი, გიყვარდეს, დაიწყო მუსიკა!

შემდეგ ყოველნაირი დღეები იდგა: ხან მზე სწვავდა ცეცხლივით მოკამკამე ლაჟვარდიდან, ხან ღრუბლები იხორხლებოდა მთებად, და, მერე საშინელი ზათქით იპობოდა; ხან ცოფიანი ნიაღვრები ასკდებოდა გემს წარღვნასავით, რყევაც სულ იყო — გაჩერებებზეც კი. არაქათგამოცლილ ჩანგს უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში ერთხელაც არ მიუტოვებია თავისი კუთხე, რომელიც მეორე კლასის ცარიელ კაიუტებშუა მდებარე გახურებულ დერეფანში იყო, გემბანზე გამავალი კარის მაღალ ზღურბლთან. ეს კარი დღეღამეში ერთხელ იღებოდა, როცა კაპიტნის შიკრიკს ჩანგისათვის საჭმელი მოჰქონდა. მთელი გზიდან, წითელ ზღვამდე, ჩანგს მეხსიერებაში ჩარჩა მხოლოდ ტიხარების მძიმე ჭრიალი, თავბრუხვევა და გულის კანკალი, აძიგძიგებულ კიჩოსთან ერთად ხან სადღაც უფსკრულში რომ მიექანებოდა და ხან კი ზეცისკენ მიიწევდა, ჩარჩა გამგმირავი შიში, როცა მაღლაასული, კიჩო, უეცრად გვერდზე დაქანდებოდა და ჰაერში გრიალით დატრიალებული წყლის მთელი მთა, თითქოს ზარბაზნიდან გაისროლესო, გემს ზედ მოასკდებოდა, სარკმლებში დღის შუქს ჩააქრობდა, და სქელ მინებზე მღვრიე ნაკადებად ჩამოიწუწწებოდა. ავადმყოფ ჩანგს შორიდან ესმოდა, როგორ გაჰყვიროდნენ განკარგულებებს, ესმოდა ბოცმანის მგრგვინავი სტვენა, მეზღვაურების ფეხის ბაკუნი, წყლის ჩქაფუნხმაური; მოჭუტული თვალებით არჩევდა ჩაბნელებულ დერეფანს, ჩაის სავსე ჭილობის ფუთებით რომ გაეტენათ. — გულის რევა, სიცხე: და ჩაის მძაფრი სუნი ათრობდა და ათაყვანებდა.

ჩანგის სიზმარი აქ წყდება.

იგი კრთება და თვალს ახელს: არა, ტალღა არ დაჯახებია გემბანს ზარბაზნიდან გასროლილივით — სადღაც, ქემოთ, ვიღაცის მიერ ღიად მიტოვებული კარი მიჯახუნდა. თავისი სარეცლიდან ხმამაღალი ხველებით ნელინელ ადგა კაპიტანი. ფეხთ დაგლეჯილი წუღები ამოიცვა; ზედ თასმებს იბნევს, ბალიშის ქვემოდან შავ, ოქროსფერღილებიან ჯუბას იღებს და შიგ ხელს უყრის, მერე კამოდისკენ მიდის; იატაკიდან წამომდგარი ჩანგი წკმუტუნით ამთქნარებს. კამოდზე ნაკლული ბოთლი დგას. კაპიტანი პირდაპირ ბოთლიდან სვამს: თითქოს იხრჩობა, ულვაშებში ქშუტუნებს, მერე ბუხრისკენ მიდის და ლამბაქზე არაყს ასხამს. ჩანგი ხარბად იწყებს არყის სვლეპას, კაპიტანი პაპიროსს უკიდებს და ისევ წვება — ელის როდის გათენდება კარგად. სადღაც, ქვემოდან უკვე მოისმის ტრამვაის შორეული გუგუნი და ქვაფენილზე განუწყვეტლივი ბაკუნით მიმავალი ცხენების ფლოქვების ხმა. გარეთ გასვლა ჯერ მაინც ადრეა. ამიტომაა კაპიტანი წევს და აბოლებს. ჩანგმა სვლეპა დაამთავრა, საწოლზე ახტა, კაპიტნის ფერხთით მოირგოლა და იმ ნეტარებაში ჩაიძირა, რასაც არაყი იწვევს საერთოდ. მოჭუტული თვალები დაენისლა, ძლივს ხედავს თავის პატრონს, რომელისადმიც სულ უფ-



მხატვარი დ. ერისთავი

რო და უფრო მეტი სინაზე ეუფლება, თან ფიქრობს, რაც ადამიანის სიტყვებით ასე შეიძლება გამოიხატოს: „ეჰ, შე სულელო, ამ ქვეყნად ერთი სიმართლე არსებობს მხოლოდ; და ნეტა იცოდე რა მშვენიერი სიმართლეა იგი“. არ ვიცი, კვლავ აგონდება თუ ისევ ესიზმრება ის მშვენიერი დილა, როცა მტანჯველი, მოუსვენარი ოკეანის გავლის შემდეგ, ჩინეთიდან მომავალი გემი წითელ ზღვაში შევიდა.

ესიზმრება:

პერიმში მიცურავენ, თითქოს ნანას უმღერიანო, ნება-ნება ირხევა გემი, ჩანგი ტკბილ, ღრმა ძილს ეძლევა. მაგრამ უეცრად ეღვიძება და დიდად განცვიფრებული რჩება: ირგვლივ მდუმარებაა, აღარსად არ ვარდება გემი, დინჯად ირხევა მხოლოდ; სადღაც კედლის მიღმა მშვიდად მიჩუხჩუხებს წყალი. კარიდან სამზარეულოს მომხიბლავი სუნი გამოდის. ჩანგი ადგა და ცარიელ კაიუტაში შეიხედა. ბინდ-ბუნდში რბილად, მოოქროსფრო-მოიისფროდ ანათებს რაღაც, რაღაც თვალით ძლივს შესამჩნევი, მაგრამ საოცრად საამო. მზისაკენ, ცისაკენ, ჰაერისაკენ, სივრცისაკენ გაუხსნიათ სარკმლები. დაბალ ჭერზე კი კამკამებენ, მიედინებიან და ვერც მიედინებიან დაკლაკნილი, სარკისებრი მდინარეები. და ჩანგს ისეთი რამ მოსდის, რაც იმ ხანებში ბევრჯერ დამართვია მის პატრონს, კაპიტანსაც, უეცრად ხვდება, რომ ქვეყნად ერთი კი არა ორი სიმართლე არსებობს — პირველი ის, რომ ცხოვრება და ცურვა საშინელია, ხოლო მეორე... მეორეზე ჩანგმა ველარ მოასწრო გაფიქრება: მოულოდნელად გაღებულ კარიდან მან დაინახა, ზედა გემბანისაკენ მიმავალი ტრაპი, უზარმაზარი, ბრჭყვიალა შავი მილი, ზაფხულის ნათელი ზეცა და სამანქანო განყოფილებიდან ოდეკოლონის სურნელის ფრქვევით მიმავალი დაბანილ-გაპარსული კაპიტანი, რომელსაც ქათქათა, ტკიცინა ტანსაცმელი ეცვა, ქერა ულვაშები გერმანულ ყაიდაზე აეწკიპა და ღიაფერის გამჭრიახ თვალებს ხალისიანად აელვარებდა. ყოველივე ეს დაინახა თუ არა ჩანგმა, გახარებული ისე ძალუმად გაექანა წინ, რომ კაპიტანმა იგი ჰაერში დაიჭირა და თავზე აკოცა, მერე უკან შემობრუნდა, სამი ნახტომით ავარდა ზედა გემბანზე, შემდეგ უფრო მაღლა აიჭრა სწორედ იმ ბოგირზე, რომელზეც ასე საშინელი სამყოფი იყო ჩინეთის დიდი მდინარის შესართავთან.

იქ კაპიტანი შტურმანის ჯიხურში შევიდა. ჩანგი იატაკზე დააგდო. ძაღლი ცოტახანს იჯდა და თავისი მელიისებრი, ბოლოში გაფანჩული კუდი ფიცრებზე ჰქონდა გაშლილი. ამომავალი მზისაგან ჩანგის ზურგს უკან დიდი სინათლე და სიცხე იდგა. ცხელოდა ალბათ არაბეთშიც, რომელმაც მარჯვნივ, ახლოს ჩაუარა თავისი ოქროს სანაპიროებით, მთებითა და მწვერვალებით. ეს მწვერვალები მკვდარი პლანეტის მთებს წააგავდნენ, სავსეთ მშრალი ოქროთი, ქვიშნარბორცვიან უდაბნოთი, რომელიც ისე არაჩვეულებრივად მკაფიოდ მოჩანდა რომ გეგონა გადახტომას შეძლებდი. მაღლა, ბოგირზე კი კვლავ დილა იგრძნობოდა, კვლავ უბერავდა მსუბუქი გრილი ნიავი, კვლავ დასეირნობდა წინ და უკან კაპიტნის თანაშემწე. აი ის კაცი, რომელიც ისე უბერავდა ხოლმე მერე ჩანგს ცხვირში, რომ აცოფებდა. კაპიტნის თანაშემწეს თეთრი ტანსაცმელი ეცვა, თეთრი ჩაფხუტი ეხურა, საშინელი შავი სათვალე ეკეთა და გამუდმებით შეჰყურებდა ცისათვის ქვემოდან შედგმულ წინა ანძის წვეროს, რომელზეც სირაქლემას თეთრ ფრთასავით ფრიალებდა სიფრიფანა ღრუბლის ქულა... მერე კაპიტანმა ჯიხურიდან დაიძახა: „ჩანგ! ყავა დავლიოთ!“ ჩანგი მაშინვე წამოვარდა, ჯიხურს შემოურბინა და სპილენძის ზღურბლზე მარჯვედ გადახტა. ზღურბლის მიღმა კიდევ უკეთესი აღმოჩნდა ვიდრე ბოგირზე. აქ იყო კედელზე მიმაგრებული ტყავის განიერი დივანი, რომლის ზემოთაც ისრებიანი და ბრჭყვიალამინებიანი მრგვალი კედლის საათის მსგავსი რაღაც ეკიდა. იატაკზე ტკბილ რძეში ალესილი პურით სავსე ჯამი იდგა. ჩანგმა ხარბად დაიწყო სვლეპა, კაპიტანი კი თავის საქმეს შეუდგა: დივანის მოპირდაპირე მხარეს ფანჯრის ქვემოთ რომ დიდი ზღვის რუკა იყო, დახლზე გაშალა, ზედ სახაზავი დაადო და წითელი მელნით მტკიცედ გადაკვეთა გრძელი ზოლი. ჩანგი სვლეპას მორჩა, რძე ჯერ ისევ ულვაშზე ეცხო, რომ იქვე, ფანჯრის ახლო რაფაზე ახტა, საიდანაც რქებიანი ბორბლის წინ მდგარი მეზღვაურის ზურგი და ფართო პერანგის გადაწეული ლურჯი საყელო მოჩანდა. და მაშინ კაპიტანმა, რომელსაც, როგორც მერე გამოირკვა, ძალიან უყვარდა ჩანგთან მარტო ყოფნისას ლაპარაკი, უთხრა:

— აი, ძმობილო, ხედავ, ესაა წითელი ზღვა! უნდა [illegible] და შენ, რაც შეიძლება ჭკვიანად გავიაროთ ზედ. შეხედე, რიფებისა და კუნძულებისაგან როგორაა აჭრელებული. ოდესაში საღ-სალამათი უნდა ჩაგიყვანო, იქ შენი არსებობა უკვე იციან; აკი წამომცდა ერთ თავნება გოგოსთან, წავიტრაბახე თქვენი ბრწყინვალებით მის წინაშე, წავიტრაბახე აი იმ გრძელი ბაგირის საშუალებით, რომელიც ჭკვიანი ადამიანების წყალობით ყველა ზღვისა და ოკეანის ფსკერზეა გადებული... ისე, ჩანგ, მე მაინც ძალიან ბედნიერი კაცი ვარ, ისეთი ბედნიერი, რომ შენ ამის წარმოდგენაც არ შეგიძლია. აი, ამიტომაც, საშინლად არ მინდა, ამ რიფებიდან, რომელიმეს ზედ შევასკდე და პირველსავე შორეულ რეისზე თავსლაფი დავისხა...

ასე ლაპარაკობდა კაპიტანი, რომ უეცრად ჩანგს შეხედა და სილა გააწნა.

— მოაშორე რუკას თათები! — დაუყვირა ბატონკაცურად. — არ გაბედო სახელმწიფო ქონებაზე ასვლა!

ჩანგმა თავი გაიქნია, შეუღრინა და თვალები მოჭუტა.

ეს პირველი სილა იყო და ეწყინა. ისევ მოეჩვენა, რომ ამქვეყნად სიცოცხლე და ცურვა საძაგლობაა; შემობრუნდა, ნათელი, გამჭვირვალე თვალები დაიწვრილა, ჩაიქრო და ხმადაბალი ღრენით მგლის კბილები დაკრიჭა. მაგრამ კაპიტანს მნიშვნელობა არ მიუცია მისი წყენისათვის. პაპიროსს მოუკიდა, პიკეს პიჯაკის გვერდითა ჯიბიდან ოქროს საათი ამოიღო, ფრჩხილით თავსახური ახადა, ჩახედა რაღაც მოციმციმეს, არაჩვეულებრივად მკვირცხლს, სწრაფს, საათის შიგნით წიკწიკით რომ გარბოდა და ისევ მეგობრულად დაუწყო ლაპარაკი. ისევ მოუყვა ჩანგს იმის შესახებ, რომ იგი ოდესაში მიჰყავს, ელიზავეტას ქუჩაზე, სადაც მას, კაპიტანს ჯერ ერთი — ბინა აქვს, მეორე — ლამაზი ცოლი ჰყავს, მესამე — მშვენიერი ქალიშვილი, და რომ იგი, კაპიტანი მაინც ძალიან ბედნიერი კაცია.

— მაინც ბედნიერი, ჩანგ! — სთქვა კაპიტანმა და დაუმატა.

— აი, ის ჩემი ქალიშვილი კი, ისეთი ცქრიალა, ცნობისმოყვარე, ჯიუტი გოგოა, ჩანგ, რომ ზოგჯერ ცუდ დღეს დააყრის შენ კუდს, მაგრამ რომ იცოდე, რა მშვენიერი არსებაა, მე იგი ისე მიყვარს, ძმაო, ისე, რომ მეშინია კიდეც ასეთი სიყვარულისა — ამ გოგოშია მთელი ქვეყანა მოთავსებული. — თითქმის მთელი ქვეყანა. მერე საჭიროა, განა ეს? და საერთოდ შეიძლება ასეთი სიყვარული? ვითომ ჩემზე ან შენზე სულელები იყვნენ ის თქვენი ბუდები?! — აბა, ყური დამიგდე რას ამბობდნენ სიყვარულზე, მზის სხივით, ტალღით, ჰაერით დაწყებული, დამთავრებული ქალით, ბავშვით, თეთრი აკაციის სურნელით. ანდა თუ იცი, რა არის თქვენ მიერ, ჩინელების მიერ გამოგონილი თაო? ეს მე თავადაც ცუდად მესმის ძმაო, საერთოდ ყველას ცუდად ესმის. მაგრამ, მოდი, რამდენადაც შესაძლებელია გავიგოთ, რა არის ეს? დედათა დედა, იგი შობავს და იგი ნთქავს, ისევ თავიდან შობავს ყოველივე ქვეყნად არსებულს. სხვაგვარად რომ ვთქვათ — ესაა გზა ყოველივე არსობისა, რომელსაც წინ არ უნდა აღუდგეს არავითარი ქვეყნად არსებული. ჩვენ კი ყოველ წუთს ვეწინააღმდეგებით ამას, ყოველ წუთს გვინდა საკუთარ ჭკუაზე ვატრიალოთ, არა მარტო, ვთქვათ, საყვარელი ქალის სული, მთელი ქვეყნიერებაც კი! რა საშიშია ცხოვრება ამ ქვეყნად, ჩანგ, ძალიან კარგი, მაგრამ რა საშიში, განსაკუთრებით ისეთებისათვის, როგორიც მე ვარ! — მეტის მეტად ვეხარბები ცხოვრებას და მეტისმეტად ხშირად ვცდები გზას. ბნელი და ბოროტია ეს გზა, ან სრულიად პირიქით!

კაპიტანი გაჩუმდა, მერე ისევ დასძინა.

— მთავარი კი იცი, რა არის? როცა ვინმე გიყვარს, ვერავინ, ვერავითარი ძალა ვერ დაგარწმუნებს იმაში, რომ შესაძლოა მას არ უყვარდე, აი სად არის, ჩანგ, ძაღლის თავი დამარხული. არა და, რა დიდებულია ცხოვრება, ღმერთო, რა დიდებული!

თარგმნა ნანული ცაგარეიშვილმა



დასაწყისი. დასასრული იხ. შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა



ანზორ აბულაშვილი

# მედეა კახიძე

13058

თავიდანვე ჩვენი გულითადი მეგობრობის მიუხედავად, დანამდვილებით — დღეს უკვე აღარ მახსოვს — პირველად როდის და სად შევხვდი მედეა კახიძეს. ნუ დაგავიწყდებათ, მას მერე თითქმის ოცდამეხუთე წელი იწურება. სამაგიეროდ — მისი მაშინდელი თვალისმომჭრელი გარეგნობა: უაღრესად ქართული იერი, გარკვეულად— ველურმშვენებაშერეული, სოფლურ თუ ბალღურ გულუბრყვილობაში გადასული, ახლაც ნათლად მიდგას თვალწინ. მაღალს, თვალებბრიალას სახეზე ცხადად ეწერა გაოცება, სიკეთე და სიმიამიტე. რაც არ უნდა გაცვეთილი იყოს ქალის შველთან შედარება, მომკალით და, მედეა მართლა შველი იყო გამოცხადებული. ქუჩაში მიმავალს დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ყველა, უკლებლად, უეჭველად თვალს გააყოლებდა ხოლმე. ის კი, ვითომცდა არაფერი, მიდიოდა და აინუნშიც არავის აგდებდა.

— მოგცლიათ, ერთი!

ნუ დაეჭვდებით, ეს მართლაც ასე იყო. თუმცა ზოგიერთმა შეიძლება, ერთი პირი, ქალურ თვალთმაქცობად მონათლოთ, მაგრამ, არა, ჩემო კეთილო, დარწმუნებული ვარ, მაშინ ასეთი თვალთმაქცობა, ისევე როგორც ქალური კეკლუცობა და აზიზმაზიზობა მისთვის სრულიად გაუგებარიც კი იყო. ეგ კი არა, პირიქით, გული მოსდიოდა, ბრაზდებოდა; — საქმე რამ გამოულიათო.

მიზეზი?

მიზეზს აგერ გეტყვით და ყველაფერი ცხადი გახდება: საქმე ის იყო, რომ მედეა კახიძეს ნამდვილი ბიჭური ხასიათი ჰქონდა, მკაცრი, ამაყი, შეუპოვარი, ბიჭური სიკერპით. ქალაქში სათუთად და ნებივრად გაზრდილებს, მინაზებულ თვალყუყუნებს, თეთრხელებიან უსაქმურებს, ჩაცმა-დახურვას გადაყოლილებს, ისევე როგორც მთელ ქალაქურ ყოფას (ალბათ — უკლებლად ყველა გულუბრყვილო სოფლელი ბიჭის დამოკიდებულება.) ზემოდან, დამცინავად, აშკარად გამომწვევად უყურებდა, უდიერად ეპყრობოდა.

ახლა მის მაშინდელ მეგობრებს არ იკითხავთ?!

ლადო მრელაშვილი, შოთა ნიშნიანიძე, კარლო კობერიძე, ჯანსულ ჩარკვიანი, მორის ფოცხიშვილი, გივი გეგეჭკორი, უდროოდ გარდაცვლილი, დაუვიწყარი კარლო ქილარჯიანი.

ხედავთ? არცერთი ქალი! ნუ მიწყენს მედეასთვის დღეს უკვე დასთან სათქმელი, ჩვენი შესანიშნავი პოეტი ნაზი კილასონია, მაგრამ მათი მეგობრობა მერე და მერე აეწყო... იმხანად მედეა კახიძე მხოლოდ ბიჭებით გარშემორტყმული, ბიჭების ამალით ამოივლიდა ხოლმე რუსთაველის გამზირზე.

ის ჭაბუკები — დამწყები პოეტები თუ მწერლები, ჯერ ისევ სტუდენტები იყვნენ და ამიტომაც ძალზე ხშირად ქესატად გახლდნენ. საღამოხანს მწერალთა კავშირიდან გამოსულები გზადაგზა ჯიბეებს მოიჩხრეკდნენ, თითო-ოროლა მანეთობით მცირე თანხას მოაგროვებდნენ, იაფფასიან ძეხვსა და პურს იყიდდნენ და ფიქრის გორაზე, მედეა კახიძის ოთახში სიცილ-ყაყანით შელაგდებოდნენ... თადარიგიანი მასპინძლის მარიფათი და მოხერხება საგანგებოდ მეგობრებისათვის გადანახულ ღვინოსაც გამოაჩენდა და, იცოცხლე, ხელმწიფის საკადრისი სადილ-ვახშამიც მზად იყო! მერედა, რა სერობა იმართებოდა! ამაღლებული, გულითადი, ალბათ გულუბრყვილოც; პოეზიით, მოსწრებული ხუმრობით და ზმით შეზავებული.

მაშინ ერთიმეორის ნაწერისადმი არ გვქონდა გულგრილი დამოკიდებულება. უფრო მეტიც, გულგრილობა რა სათქმელია: მოსაწონი ახალი ლექსის გამო იყო ერთი ალტაცება, ხოტბა, ქება-დიდება, იქნებ, უფრო ხშირად, გადამეტებულიც, მაგრამ ყოველთვის გულწრფელი, ნაღდი. ასევე თუკი ლექსი არ იყო მოსაწონი, ესეც ყოველგვარი მობოდიშების, ყოველგვარი მორიდების და მიკიბმოკიბვის გარეშე ითქმებოდა ხოლმე. ამის

გამო განაწყენებაც ასევე უცხო იყო მაშინ (ჩვენ შორის, თორემ, ისე — საერთოდ — რასაკვირველია, თავს ვერ გამოვიდებ) პირიქით, დაწუნებული ლექსის ავტორი მადლობას გადაიხდიდა, შენიშვნას გაითვალისწინებდა, გასასწორებელს — გაასწორებდა და მომდევნო შეხვედრებში ხელახლა წარუდგენდა „საკრებულოს“.

ერთი სიტყვით, იმ საქმიან გულითადობის ატმოსფეროში ახალბედა ლიტერატორთა ცხოვრება დუღდა და გადმოდიოდა.

შემდეგში მედეა კახიძემ სწორედ ამ საღამოებს მიუძღვნა მშვენიერი ლექსი „წერილი მეგობრებს“. ვიდრე ამ ლექსს მთლიანად მოვიტანდე, ერთს შევნიშნავ: მედეა კახიძის ყოველი სტრიქონი მკაცრად კონკრეტულ ამბიდან გამომდინარეა, ბიოგრაფიულია. ახლოს, დაკვირვებით გაეცანით მის შემოქმედებას და თქვენს თვალწინ — ცხადად, ქრონოლოგიური თანამიმდევრობით გაივლის პოეტის ცხოვრება ბავშვობის პირველი შთაბეჭდილებებიდან — დღემდე. თანაც ყოველგვარი შელამაზებისა და გამოგონების გარეშე; თავისი ჩრდილებით, უცხო თვალისთვის და ყურისთვის ზოგჯერ მოსარიდ ტკივილებზე ლაპარაკით.

ცხოვრებაში ასეთ ადამიანზე იტყვიან ხოლმე — პირღიაო.

იქნებ სწორედ ამიტომაცაა დაზღვეული მთელი მისი შემოქმედება სიყალბისა და მანერულობისაგან.

აი ზემოთნახსენები ლექსი — „წერილი მეგობრებს“:

„ვითმენ აქაურ სოფლის სიყრუეს,
ფიქრი თქვენს იქით მაინც არ მიდის,
შინიდან გარეთ ვერ გამიტყუებს
ვერც თქვენი ხვეწნა, ვეღარც ამინდი.

მე ჩემს ქალაქს ვარ გადაჩვეული
და ტრამვაის ხმა აღარ მაღვიძებს,
საღამოობით აღარ შევუვლით
აღარც „ბორჯომს“ და აღარც „ლაღიძეს“.

მე მანდ რომ ვიყო, თავს დავდებ
თქვენთვის,
გულს არ დაგწყვეტდით ღვინო კახურით,
იმ ბოთლს ხომ მაინც გამოგიჩენდით,
ჩუმად რომა მაქვს გადანახული.

რაგინდა ყველა უფულოდ ვიყოთ,
სადმე ვიშოვოთ ერთი მანეთი,
„იარუსიდან“ ვუყუროთ კინოს,
მერე გავკენწლოთ გზად ერთმანეთი.

ილუნებიან ჩემს წინ დღეები,
როგორც ლერწები, როგორც მშვილდები.
სხვის მიწა-წყალზე დავალ ცერებით
და თქვენს გარეშე ველარ ვმშვიდდები“.

ხედავთ? რა ზუსტად გადმოსცემს იმ ამბებს, რომელიც უკვე გითხარით. კაცმა რომ თქვას, თვითონ რომ არ ვყოფილიყავი მხილველი, ის საღამოები და შეხვედრები იმ ლექსით შემეძლო აღმედგინა.

პოეტის ერთი უსათაურო ლექსი ასეთი სტრიქონებით იწყება: „მოიზავთება არაგვი, გზა-გზა უსიერ ჭალას ჰგვის“. სწორედ ასე მოიზავთება მისი შემოქმედებაც, მოდის და მოატივტივებს ცხოვრების ნაირნაირ სურათებს, რაც კი გზად შეხვედრია, მშვენიერსაც, ამაღლებულსაც, ამბოხსაც და იქვე — ტკივილსაც, ჩრდილსაც, ბრაზსაც, ფილოსოფიურ კითხვის ნიშნებსაც... ხან მქუხარეა (ალბათ — უპირველესად — მისივე ბიოგრაფიის მიზეზით გამკაცრებული ხასიათის გამო, რომელსაც ზემოთ ბიჭური ვუწოდე) და ხან — დამდორებული, მოდუდუნე, მაგრამ არასდროს გაზულუქებული, კმაყოფილი. მისი ლექსი სულ მოძრაობაშია, ადამიანთა გამომაფხიზლებელ ბობოქრობაში...

მე რომ მკითხონ, პოეტის თითქმის ყოველ სტრიქონს ძახილის ნიშანი უნდა დაესვას, ხოლო მთლიანად შემოქმედებას ეპიგრაფად დიდი ილიას სიტყვები მოუხდებოდა: „რას მიქვიან ტკბილი სიტყვა“. მაგალითებისათვის ბევრი დაძებნა არ დამჭირდება:

„მიხმობენ, მელიან, მახელებენ,
სიზმრებშიც ვერსაით ვემალები.
მათი სათაყვანო სახელები —
ჩემი ცადქცეული მწვერვალები.

შორიდან მომძახიან, მომბღავიან
არაგვი, თერგია თუ იორია,
თერგი — ჩემეულა ორღანია
და ხმის შეწყვილება იოლია“.

სულ სხვა ლექსში პოეტი ასეთ ამაზრზენ სურათს გვიხატავს: შანთებით დადაღულ ქეთევან დედოფალს სული ჰხდება, გახურებული ქვაბი „დაარქუეს“ უკვე წმინდანად ქცეულს და იმ დროს, როცა თვით ჯალათნიც კი სახეს გვერდით მიაბრუნებდნენ, პოეტი ქალი — ხმაში ბრღმამორეული, მაგრამ მაინც უტეხი სიკერპით, თავს ამაყად სწევს (აქ ფიზიკურად სწორედ ასე წარმომესახება ლექსის ავტორი) და ფოლადივით რეკს:

„ეგრე დედოფალო, ეგრე, ცოტაც და იწყება ზეცა“.

მთელს ლექსში პოეტი მხოლოდ ამ ორ სტრიქონს წარმოთქვამს, დანარჩენი — წამების საშინელებანი თვითონ დედოფლის პირითაა მოთხრობილი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ დასკვნით ორ სტრიქონში გამოჩნდა ავტორის ძალა, ნიჭიერება, როგორც იტყვიან, ლექსის ლოგიკური წერტილი. ფინალი აქ კალმის ერთი მოსმითაა. მერე რა შთამბეჭდავი და მრავლის მეტყველი, ემოციური და გულისმომწყვლელი. ეს თითქოსდა აღგზნებული სტრიქონები სულის სიღრმიდან დაძრული სიმწრის „ვაიმეს“ ჩასახშობად უფროა. პოეტის გული კვნესის, მაგრამ კვნესა როგორ დასცდება! მტერს არ გაახარებს. მისი სიტყვა მოძმეთათვის შეძახებაა, სიმტკიცისკენ მოწოდებაა.

ზოგიერთმა, შეიძლება, ეს არც თუ ნაზი ინტონაციები პოეტ ქალს ნაკლად ჩაუთვალოს, მაგრამ ეს ნაკლი თუ ღირსება მედეა კახიძის ბუნებაა და ყოველი ადამიანი სწორედ თავისი შინაგანი ბუნებით განსხვავდება მეორე ადამიანისაგან. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ყოველი მკაცრი ხასიათი საკუთარი გულჩვილობის დაძლევით განმკაცრდა. ბოლოსდაბოლოს, დაბადებით ყველა ერთნაირია. აბა, წაიკითხეთ მედეა კახიძის ლექსები მამაზე, ბავშვობის პირველ შთაბეჭდილებებზე, დედაზე და ბევრ რაღაცას მოეფინება ნათელი. (მე უკვე აღვნიშნე, რომ მისი ყოველი სტრიქონი ნატურალიზმამდე ბიოგრაფიულია). ჭეშმარიტად მართალია ნიკოლოზ ბარათაშვილი: „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის“.

დიახ, მოიზავთება ღონიერი ლექსი ჩვენი პოეტისა და აფხიზლებს მის მკითხველს, სულის სიმტკიცეს უქადაგებს თავის სისხლსა და ჯილაგს. მისი ლექსი სავსეა ზვრებით გადახატული ჩვენი მიწის სურნელით, მთათა სიმაღლეებით და მდინარეთა მქუხარებით. თუმცა ისე არავინ გაგვიგოს, თითქოს მედეა კახიძისთვის მთლიანად უცხო იყოს ლირიკული ტონები და განწყობილებები, გაზაფხულის ფერები და სევდიანი განმარტოებანი, წმინდა ფერწერული ნახატები.

„მე მენატრება როშკის ღრუბელი,
ცაზე უსაქმოდ რომ დაფუსფუსობს“.
„მიწა ისე რბილია, ლამის დაიკოცნება,
ფეხშიშველა წასულა ხევ-ხევ ჩემი
ოცნება“.

„ზეცა მთვარით დალაქავდა“.

ანდა გაზაფხულის დასახატად: „თეთრი ნუში შემონაკადულდება“.

ციტირებას მოვეშვები, თორემ იმდენი მაგალითის მოტანა შეიძლება, სხვა რამის სათქმელად ადგილი აღარ გვეყოფა. აი, თუნდაც სულ სხვა ხასიათის ლექსები: ფიქრიანი, ნაღველშეპარული, მაგრამ მაინც ოპტიმისტური.

„მიწიდან მოვჩუხჩუხებთ სიმღერებად —
ხეები, წყაროები, ბალახები,
და თუ ცხელ მიწაში ვილევენთებით,
ისევ ცხელ მიწაზე განვახლდებით“.

„არის წუთები, ძალ-ღონე შეგწევს,
დღეები ზანტად მიიზლაზნება,
საკუთარ თავის თავად ხარ შემწე,
უსიყვარულოდ გიჭირს ვაძლება.

არის წუთები, გიმტყუნებს რიხი,
გაუსაძლისი თმენით მწარდები,
იმის მიხედვით, გიჭირს თუ გილხინს,
მინელაობენ წელიწადები“.

აი, სულ სხვა ხასიათის — მედეა კახიძისათვის ნიშანდობლივი, ჭეშმარიტი ოსტატის ხელით გამოყვანილი, მოქმედებისკენ მომწოდებელი სტრიქონები:

„თუ გაქვს პატარა მიწის ნაჭერი
და შიგ შრიალებს უქმად იელი,
თვით ააყვავე შენივ მარჯვენით,
შენი მინდორი უკაცრიელი...

თუ მკაცრი ბედი გწონის და გზომავს
ნუ ჩაიჩოქებ ხვედრთან უძლური,
ან შეალიე სიცოცხლე ბრძოლას,
ანდა იპოვე შენი კუნძული".

აი, სამშობლოს გარეთ მყოფი პოეტის ამონათქვამი:

„საქართველოს მოწყენილი ბეღურა ვარ
და მზის მარცვლებს ასაკენკად ვეპარები".

აქვე გალაკტიონის სტრიქონები მახსენდება:

„უცხო ქვეყნად მარტოობას გრძნობდე,
ნეტარება არის რაღაცგვარი".

რა თქმა უნდა, სამშობლოდან შორს მყოფი პოეტის ნაღვლიანი ინტონაცია სავსებით ბუნებრივი და ადამიანურია, თორემ — სამშობლოში ქუხს და ზე იწევს ჩვენი საყვარელი მეგობრის აღტაცებული წამოძახილი:

„მოვდივარ ქართულ მიწაზე
და ზეცა მხრებით მიჭირავს".

აგერ მეორე ლექსი — „მე ამ ქვეყნად".

ძლიერი, მგრძნობიარე, სადაც სიყვარული ჩვეულებრივ ადამიანურ სტანდარტების ჩარჩოში არ ეტევა:

„ვარ მზითა და სიყვარულით ხვავრიელი,
ვით ალაზნის მადლიანი ველი,
დაე, გული, მყუდრო როგორც ეკლესია,
აზვავდეს და გახდეს დასაბმელი...

მე უშენოდ დღის სინათლე ღამედ ვიცან,
ვერ ვერევი შემოწოლილ ბურანს,
მე ვარ ახლად გამომწვარი დედამიწა და
შენს ირგვლივ დღე და ღამე ვბრუნავ".

დამეთანხმებით, აქ სულ სხვა განზომილებებია, სხვა მასშტაბები. ჩვეულებრივი — ადამიანური სიყვარული თითქოს ერთიასად გაუდიდებია ავტორს, რათა უფრო ნათლად შევხედოთ მის გულს, მის სიყვარულს. საერთოდ, პოეტისთვის უცხოა ფერგადაღეული, მოწუწუნე, მელანქოლიური, უსისხლო და უილაჯო სიყვარულის კუკუმალულობია. პოეტის სტრიქონი სავსეა ვნებით და ღონით, სიცხადით და სახეობრივი ელფერით:

„ნუ მოხვალ ჩემთან გაუბედავად,
ნუ მეტყვი სიტყვას გულის კანკალით.
მოდი და, როგორც ტყვია ბერდანის,
ეგ სიყვარული გულში დამკარი".

ახლა მედეა კახიძეს — თავისი ქვეყნის გულმხურვალე პატრიოტს მოვუსმინოთ:

„ბევრჯერ დაუტბორავს მიწა სისხლის
მორევს,
ბევრი აღმართები აგვივლია,
სამშობლო იყოს, თორემ —
თავისდადება ადვილია!

„მინდა ვიყო თავანკარა გაზაფხული,
ჩემი მიწის სადღეგრძელოდ მოვკვდე".

მართლაც და ფერხორციანია მისი სიტყვა, ქართული მიწის სურნელით გაჟღენთილი. დინჯი, ღონიერი, დროდადრო აჩქარებულიც, ხანდახანაც სევდაშეპარული, მაგრამ უფრო ხშირად ჩახმახივით შემართული, უტეხი, ამაყად თავაწეული. თუმცა ამ ბოლო წლებში მის რიხსა და უტეხ ნებასაც შეეპარა ერთგვარი სირბილე. ეს კი ახალმა გარემოებებმა განაპირობეს; მედეა კახიძე დღეს უკვე ოჯახისა და შვილების პატრონია და ამიტომაც დედის გულიდან დაძრულ ინტონაციაში გულჩვილობამ, შიშმა, ელდამ გაჟონა. მშობლის ამოთქმულ სიტყვას სულ სხვაგვარი სინაზე ამოჰყვა, რამაც უფრო გაამდიდრა, გაამრავალფეროვნა მისი შემოქმედება.

აი, მაგალითისათვის ერთი ასეთი ლექსი—

„ინდი-ფრინდი თამუნია"!

„წავალ შენგან სავსე დარდით,
ისევ დარდით მოვალ სავსე,
სადაც ვნახე გოგო კარგი,
ყველა შენს თავს მივამსგავსე!

მზეზე თბილო, ჩემო გოგო,
ინდი-ფრინდი, ჩემო შვილო,
ჩემს კალთაში შემოგოგდი,
გულის ჯავრი შემოგჩივლო!

ეგ ცრემლები ზედაშეა,
ზღვაზე უფრო მემლაშება,
რაც შენ გიჩნდი, მშვიდი ძილი
დათმო ქვეყნად დედაშენმა.

ვიდრე მე ვარ, ვინ შეგბედავს,
გითხრას სიტყვა დაქადნებით,
შენზე ფიქრი მოჰკლავს დედას,
შენ ვიდრემდე დაქალდები!"

ისე, კაცმა რომ თქვას, ამ ლექსშიც მოიძებნება მედეასთვის ნიშანდობლივი სტრიქონები:

„ვიდრე მე ვარ, ვინ შეგბედავს,
გითხრას სიტყვა დაქადნებით".

რასაკვირველია ამ პატარა წერილს სულაც არა აქვს მედეა კახიძის შემოქმედების შეფასების ან თუნდაც მოკლე მიმოხილვის პრეტენზია. არა, ეს არის უბრალოდ, ჩვენი საყვარელი პოეტი-ქალის პორტრეტის ორიოდ შტრიხი. გარდა ამისა, ამით ჩვენი კრიტიკოსების გამოწვევაც მინდა: დროა ამ საინტერესო, მაგრამ თითქმის შეუფასებელ პოეტის შემოქმედებაზე დაიწეროს რაიმე.

ანკი, რატომ უნდა ხდებოდეს ასე: ვთქვათ მწერალმა გამოსცა ათი წიგნი და წლების განმავლობაში ეს წიგნები შეუფასებელნი რჩებიან. რა სჭირთ ამ ჩვენს კრიტიკოსებს, მოლაპარაკებულებივით, ერთიდაიგივე ხალხზე რომ სწერენ მხოლოდ?! საკვირველია პირდაპირ, რა ინტერესი აქვს, რა აღმოჩენას აკეთებს მეოთხე კრიტიკოსი, როცა ამათუიმ მწერალზე უკვე მანამდე სამმა კრიტიკოსმა გამოთქვა აზრი და ეს — მეოთხეც თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს მათ ნათქვამს?!

მეგობრებო, კრიტიკოსებო, ჩაიხედეთ მედეა კახიძის წიგნებში, დამიჯერეთ, ბევრს საინტერესოს იპოვით, საკამათოს, სადავოს, დიდად მოსაწონს, ამაღელვებელს. ბოლოსდაბოლოს, ეს წიგნები დაგანახვებენ ნამდვილად უშუალო, ენერგიულ, საინტერესო ხასიათს, სიკეთით სავსე გულს, უეშმაკო— სიმართლის პირში მთქმელ მოყვარეს, ყალყზე შემდგარ პატრიოტს. ჩაგაგონებენ ისეთ სათქმელს, რაც, შესაძლებელია, სხვა პოეტის წიგნებმა ვერ ჩაგაგონონ. მედეა კახიძის ლექსი, მისი ხმა და სათქმელი — მსგავსია ავტორის გარეგნობისა და ხასიათისა, ის ჭეშმარიტად პროფესიონალი პოეტია ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით; ნაყოფიერი და მრავალფეროვანი, ყოველთვის სიმართლის მთქმელი, გულითადი, უღალატო, მცოდნე და მგრძნობელი ქართული სიტყვის ფერ-ხორცისა და სურნელისა.

ეს პატარა წერილი, უპრეტენზიო მონახაზი მინდა დავასრულო მედეა კახიძის სიყრმის მეგობრის, ცნობილი პოეტის შოთა ნიშნიანიძის ლექსის სტრიქონებით, რომელიც მედეასადმია მიძღვნილი:

„არ გეგონოთ მოჭორილი
ანდა სიტყვის თამაში:
შენი ლექსი ჩოჩორივით
მობაკუნდა ქალაქში...
მოიტანა იის სუნი და ორღობის სურნელი,
ცეტი იყო, ბრიყვი იყო და საყვარლად
სულელი.

...ქალაქი არ ეპიტნავა
თავის ადათ-წესებით,
სულ წიოკით დაიფრინა
აქაური ლექსები...

ზოგმა სიტყვაც შევაწიეთ წრფელი
არალიტონი,
მივედით და ბალახივით გავუწოდეთ
სტრიქონი.
მერე კუდიც დავუბწენით, წინ გავიგდეთ
სახრეთი
და ბიბლია ვენახისა — წავიკითხეთ
კახეთი.
ასე შემრჩა მოგონება წლებით
გადანაფარჩი,
შენ კი დევმა წაგიყვანა, დაგამწყვდია
ზღაპარში.
...რა თქმა უნდა, ლექსის წერად
ისე აღარ გცალია,
მაგრამ შენი ორი ნუკრი —
ორი ოქროს ბწკარია.
გეხვევიან, შეგღნავიან,
საბუსკნაოდ გიხმობენ...
ხელისგულზე გილოკავენ
მარილიან სტრიქონებს".

მედეა კახიძეს დიდი გზა აქვს გასავლელი და ამ გზაზე მისი გამარჯვებით სიარული ქართული ლექსის ყველა პატივისმცემლისა და დამფასებლის გულწრფელი სურვილია.



გალინა ქარჩავა

# კომუნისტი-ნოვატორი

პარტბიუროში კომუნისტებს და უპარტიო აქტივისტებს მოეყარათ თავი. საამქროში შექმნილ ვითარებას აანალიზებდნენ. ცხელი გაჭიმვის საამქრო ქარხნის გულია. თუ მისი კოლექტივი ვერ შეასრულებს დავალებას, მაშინ მთელი საწარმოს გეგმა ჩავარდება. საამქროს უფროსი იუზა მაჭავარიანი ცხარედ ლაპარაკობდა სიძნელეთა გამომწვევ მიზეზებზე. მუშახელის ნაკლებობა აფერხებს გეგმის შესრულებას, ამიტომ ყველა მუშა ისე უნდა მუშაობდეს, როგორც ნოვატორები, მაშინ არაფერი გაუჭირდებოდათო.

სიტყვა საამქროს მძახავმა გალინა ქარჩავამ ითხოვა.

— ჩვენს საამქროში თოთხმეტი მოწინავეა, ეს არც ისე ცოტაა, თოთხმეტივეს შეუძლია მეტი მონდომებით იმუშაოს. პირადად მე დღეიდან ორ-სამ საშუალო მუშას დავეხმარები, ხელს შევუწყობ ამაღლდნენ მოწინავეთა დონემდე. ალბათ სხვებიც დამიჭერენ მხარს.

გალინა ქარჩავას აზრი ყველას მოეწონა. საშუალო მუშის დღიური ნორმა 250 კილოგრამი ძაფია. მოწინავეებმა: ვენერა მუშკუდიანმა, გალინა ქარჩავამ, თამარ დედოვამ, ნელი გელაშვილმა და სხვებმა გადაწყვიტეს 320 კილოგრამამდე გაეზარდათ დღიური გეგმა. ჰოდა, თუ ასე იმუშავებს მუშათა თუნდაც 60 პროცენტი, მაშინ ყველაფერი რიგზე იქნება.

გალინა და მისი მეგობრები საქმეს შეუდგნენ. გალინა როცა ბობინებს დაამაგრებს, ყველა თითისტართან ძაფს მიამაგრებს და დაზგას მთელი სიმძლავრით აამუშავებს, მას საშუალება ეძლევა გვერდით, მეზობელ დაზგაზე მომუშავეებს დაეხმაროს 15-20 წუთით. ეს დრო კი საკმარისია იმისათვის, რომ მძახავებმა გამართულად დაიწყონ მუშაობა. მერე, რაკი გათამამდებიან და წახალისდებიან, ეცდებიან მხარი გაუსწორონ მოწინავეებს.

საამქროს უფროსმა შრომის ნოვატორს, გალინა ქარჩავას წამოწყება ქარხნის ადმინისტრაციას, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს გააცნო.

ყველა საამქროში და საწარმოო უბანზე ახალი თაოსნობა ერთსულოვნად მოიწონეს, მალე იგი ყველას საკუთრება გახდა. სხვადასხვა საამქროებიდან მოდიოდნენ მუშები გალინასთან, ნელისთან, ვენერასთან, თამართან, თათბირობდნენ, თხოულობდნენ რჩევას, აკვირდებოდნენ მათს მუშაობას.

თაოსნობა, რომელსაც ეწოდა: „დღეს მოწინავის მიჯნა — ხვალ თითოეულის მიჯნა უნდა გახდეს", — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნიდან მთელს რესპუბლიკაში გავრცელდა.

ქიმიური ბოჭკოს ქარხნის ცხელი გაჭიმვის საამქროს 14 მოწინავეს ასობით მუშამ აუწყო მხარი, მალე მათმა რიცხვმა 400 გადაამეტა. პირველი, ვინც ეს თაოსნობა გაიზიარა, იყვნენ ნინო ჩადუნელი, მარო მაისურაძე, ლილი ქორიძე, დოდო ღვინიაშვილი, ისინი სისტემატურად ეხმარებოდნენ ახალგაზრდა მუშებს, ასწავლიდნენ, ახალისებდნენ, წინსვლას აჩქარებდნენ.

გალინასა და მისი მეგობრების მიერ გამოშვებული პროდუქცია ხმარდება საბურავებისა და თევზსაჭერი ბადეების დამზადებას. მას იყენებენ ვორონეჟის, მოსკოვის, იაროსლავლის, ომსკის და სხვა საწარმოები.



ნელი გელაშვილი

ნოვატორი გალინა ქარჩავა ამ ათიოდე წლის წინათ ჩამოვიდა ჩხოროწყუს რაიონიდან. მაშინ ქარხანა ჯერ კიდევ მშენებლობის პროცესში იყო. ეშელონებს მოჰქონდა დანადგარ-მოწყობილობები, მოტორები. მშენებლები თავდადებით შრომობდნენ. მხოლოდ მომავალი მქსოველები, მძახავები, მრთველები იყვნენ უქმად.

ასე ყოფნას გალინა ქარჩავა ვერ ეგუებოდა. მან თავის გარშემო შემოიკრიბა შრომისმოყვარე ქალიშვილები, შესთავაზა დახმარებოდნენ მშენებლებს, საამქროს ამუშავება დაეჩქარებინათ. საქმე საამქროს დასუფთავებით დაიწყეს, დაატრიალეს იქაურობა, მერე სავაჟკაცო საქმესაც არ დაერიდნენ, დაზგების ნაწილების შემოზიდვაში შველოდნენ მამაკაცებს.

შრომაში დრო შეუმჩნევლად გავიდა. მონტაჟი დამთავრდა, სახელმწიფო კომისიამ საამქრო მიიღო. თეთრი, ქათქათა ბობინები გაჩნდნენ საამქროში.

გალინა დაზგასთან დადგა. მისი დანადგარი პირველი აგუგუნდა. ქიმიური ბოჭკოს წარმოება სიახლე იყო რესპუბლიკისთვის. სპეციალისტები არც თუ მრავლად იყვნენ, გალინა თვითონ იკვლევდა გზას, ეძებდა ახალ, უკეთესს საშუალებებს მეტი და უკეთესი ხარისხის პროდუქციის მისაღებად.

იგი არაერთი სასარგებლო თაოსნობის მოთავეა. ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის წინ შეისწავლა და წარმოებაში დანერგა გაშლილი ფრონტით მუშაობის ახალი მეთოდი. ეს ნიშნავდა, რომ 26 თითისტარის მაგივრად 72 თითისტარს მომსახურებოდა. გალინა თავიდანვე დიდი სიფრთხილით შეუდგა საქმეს. მიზნის მისაღწევად საჭირო გახდა ახლის ძიება. ის ზუსტად აღრიცხავდა დახარჯულ დროს, მონდომებით სწავლობდა მანქანის მუშაობის პრინციპებს, წყვეტის გამომწვევ მიზეზებს. ხშირად ზეინკლის საქმესაც ასრულებდა ხოლმე. როდესაც დაზიანებული მექანიზმის შესაკეთებლად მექანიკოსის გამოძახება დასჭირდა, ამან დიდი დრო დაა-კარგვინა. მაშინ თვითონვე სცადა წვრილმანი დეფექტების აღმოფხვრა. პირველ ხანებში გაუჭირდა, მაგრამ აქაც მალე გაიწაფა ხელი. გალინამ ცვლის ნორმის გადაჭარბებით შესრულება დაიწყო, მაგრამ ამას არ დასჯერდა, 36 თითისტარს თანდათან მიუმატა კიდევ 36.

ეს ადვილი საქმე არ იყო. თუ გავითვალისწინებთ, რომ მანქანის სიგრძე 12 მეტრია, თითისტარებიც სხვადასხვა მხარეს არის განლაგებული, ამასთან ისინი ყოველ წუთს მძახავის თვალთახედვის არეში უნდა იყოს, მაშინ ადვილი გასაგებია, თუ რაოდენ შრომატევადია მძახავის სამუშაო.

გალინა არ შეუშინდა სიძნელეს. გამოცდილებას ხელის სიმარჯვე და მოქნილობა შეაშველა. მინიმუმამდე შეამცირა თითისტარის მოცდენა და გაშლილი ფრონტით მუშაობის პირობებში 500-550 კილოგრამი პროდუქცია გამოუშვა, ამაგი დაუფასდა. იგი ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დააჯილდოვეს, კომუნისტებმა ერთსულოვნად მიიღეს პარტიის რიგებში.

გალინას ყველაზე კეთილშობილ საქმედ მუშათა ახალგაზრდა ცვლის აღზრდა მიაჩნია. თუ როგორ შეხვდები საამქროში ახლადმისულს, როგორ სითბოს დაახვედრებ და თუ როგორ შეაყვარებ პროფესიას პირველი დღიდანვე, განუზომლად დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს იცის გალინამ და მართლაც ბევრ ახალგაზრდას შეასწავლა ხელობა. მისი აღზრდილები: ციური თიგიშვილი, ზოია გოგსაძე, ნაზი ხუციშვილი და სხვები ახლა უკვე მოწინავეთა რიგებში დგანან.

კომუნისტმა ქალმა მეცხრე ხუთწლედი დიდი ხნით ადრე შეასრულა და მომავალი ხუთწლედის ანგარიშში 70 ტონაზე მეტი კორდის ძაფი გამოუშვა. 25-ე ყრილობას 500 კილოგრამი ზეგეგმითი მაღალხარისხოვანი პროდუქციით შეხვდა, აღზრდის ერთ ახალგაზრდა მუშას, ყრილობის გახსნის დღეს კი იმუშავა დაზოგილი ნედლეულით.

ჭიჭი ჯახუა



## დედა

დედა — მშობელი,
დედა სამშობლო,
დედაენა და დედაბუნება,
დედა — იმედი,
მომავლის რწმენა,
და სიხარულის აგუგუნება.
კვლავ მრავალ
რვა მარტს
აივსოს ლხენით,
მისი ცა ნუღარ
დაიბინდება,
მის დიდ იმედებს,
ოცნებებს, ზრახვებს
დღეგრძელობა და მარად დიდება!

პედაგოგი რაისა შენგელია,
სამტრედია.

## ჰიმნი სამშობლოს

სამშობლო მიწის მთა-ბარო,
თაფლად დამდნარო მზეო,
ვარდის სუნთქვაში გამთბარო
ნაოცნებარო დღეო,

სვიით გაბმულო ხეებო,
ცაო, სადაფის თვალო,
ამწვანებულო ველებო,
კალმახიანო წყალო.

აბოლებულო ნისლებო,
დაუდეგარო ქარო,
მთაში მყვირალო ირემო,
ვაზზე მძინარო ცვარო,

ყველა სულდგმული მიცოცხლეთ,
მიწავ, მზეო და მთვარევ,
შენთვის ვიზოგავ სიცოცხლეს,
ჩემო სამშობლო მხარევ!

დოდო გვიშიანი

# ქართველი ქალები რუსეთის პირველი რევოლუციის ისტორიაში

რუსეთის პირველი რევოლუცია ისტორიაში შევიდა როგორც უდიდესი სახალხო რევოლუცია, რომლის ჰეგემონი იყო პროლეტარიატი. პროლეტარიატის ხელმძღვანელობით ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება გლეხობა და იგი პროლეტარიატის საიმედო მოკავშირე გახდა რევოლუციაში.

რევოლუციურმა მოძრაობამ თავიდანვე ფართო გაქანება ჰპოვა საქართველოში, რაც ბოლშევიკების ენერგიული მუშაობის ნაყოფს წარმოადგენდა. ქართველი ბოლშევიკები სტალინის, წულუკიძის, კეცხოველის, ცხაკაიას, და მახარაძის ხელმძღვანელობით ჯერ კიდევ ადრე, რევოლუციის დაწყებამდე მგზნებარე აგიტაცია-პროპაგანდას ეწეოდნენ მუშათა და გლეხთა მასებში და აღაგზნებდნენ მათ სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ საბრძოლველად, მეფის თვითმპყრობელური მთავრობის დასამხობად.

9 იანვრის სისხლიან ამბებთან დაკავშირებით, როგორც კი დაიწყო რევოლუცია რუსეთში, აჯანყებამ იფეთქა საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში. საქართველოს ბოლშევიკებმა სულ უფრო და უფრო ღრმად იწყეს შეჭრა ხალხის ფართო მასებში. ბოლშევიკების გავლენით გაძლიერდა და გახშირდა შეიარაღებული თავდასხმები პოლიციელებზე და მემამულეებზე. ბოლშევიკური პარტიის ფუძემდებელი ვ. ი. ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობას. ლენინი წერდა: „კავკასიაში გლეხთა მოძრაობა ძალიან ძლიერია. მემარცხენეები აქ ყველაზე ძლიერი პარტიაა" (ვ. ი. ლენინი, ტ. 12, გვ. 237). რევოლუციური მოძრაობის ჩასაქრობად მეფის მთავრობამ ყველგან გააძლიერა რეპრესიები. რეპრესიები არაადამიანური სისასტიკით გამოირჩეოდა საქართველოში. რეპრესიების საპასუხოდ ხალხი ფიცს სდებდა საერთო საქმისადმი ერთგულებაზე და კიდევ უფრო გაბედულად მიჰქონდა იერიში მთავრობის დაწესებულებებზე და პოლიციელებზე.

ქუთაისის გუბერნატორი კავკასიის პოლიციის გამგეს წერდა: მთელი გურია აჯანყებულია, ძალიან საშიში მდგომარეობაა, როგორც ოზურგეთის, ისე ზუგდიდისა და სენაკის მაზრებშიც. გლეხები იწვევენ კრებებს, სადაც ისინი ფიცს სდებენ საერთო საქმის ერთგულებაზე. ამ კრებებზე ერთსულოვნად იღებენ დადგენილებას: დაიცვან გლეხთა შორის ერთიანობა, სასიკვდილო საფრთხის შემთხვევაშიც კი არ გასცენ პოლიციის მიერ დევნილნი, განსაკუთრებით, მთავარი ხელმძღვანელები. ყოველგვარი კავშირი გაწყვიტონ მემამულეებთან და მთავრობის ადმინისტრაციასთან. მთავრობის დაწესებულებების ნაცვლად შექმნან თავიანთი დაწესებულებანი და მათ მიანდონ გადასაწყვეტად თავიანთი საქმეები." (სცს არქივი, ფ. 39, საქმე 107, გვ. 148). ამ დადგენილებას ერთსულოვნად იცავდა მთელი ხალხი. მამაკაცებთან ერთად გასაოცარ სიმამაცეს, სიმტკიცეს და საერთო საქმისადმი თავდადებას იჩენდნენ ქალებიცა და ბავშვებიც.

რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში, ქართველმა ქალებმა, თავიანთ მამებთან, ქმრებთან და ძმებთან ერთად არაერთი სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში და შარავანდედით შემოსეს ქართველი ქალის ზნეობრივი ღირსება. რაც უფრო გადიოდა დრო, რევოლუციური მოძრაობა მით უფრო ღრმავდებოდა და ფართოვდებოდა. რევოლუციური მოძრაობის ჩასაქრობად და ხალხის დასაშინებლად მთავრობამ საქართველოს სოფლებში ეგზეკუციები ჩააყენა. ზუგდიდის ყოველ სოფელში, მაზრის უფროსის კეგამოვის განკარგულებით 25 კაზაკი გაიგზავნა. კაზაკთა ოჯახში შეჩვევაზე ქალებმა სასტიკი პროტესტი განუცხადეს.

ქალთა ერთსულოვანმა პროტესტმა და გამბედაობამ კეგამოვის გააფთრება გამოიწვია. მან ქალთა ამგვარი მოქმედება მოძრაობის მოთავეებს გადააბრალა და მათი ხელში ჩაგდების მიზნით ასეთ მუხანათურ საშუალებას მიმართა: ხობის წყალთან შეკრიბა სოფლის მთელი მოსახლეობა და კაზაკებს უბრძანა, ხალხისათვის გზა შეეკრათ სამი მხრიდან, ერთი გასაქცევი მხოლოდ მდინარე ხობისწყლისაკენ დაეტოვებინათ. მან სამი მხრიდან გზაშეკრულ ხალხს დაჟინებით მოთხოვა, დაუყოვნებლივ დაესახელებინათ ჯანყის მოთავეები, მაგრამ მთელ ხალხში არც ერთი არ აღმოჩნდა ისეთი, რომ გაეცა ხელმძღვანელები. ჯალათ კეგამოვს იმედი ჰქონდა, რომ ძუძუთა ბავშვების დედებს დააშინებდა. მან მდინარის პირას შეკრებილ ქალებს მუქარით მიმართა, დაასახელეთ მთავარი ხელმძღვანელები, თორემ ბავშვებიანად ხობის წყალს გავატან თვითეულ თქვენგანსო. მიუხედავად ასეთი მუქარისა, არავინ ისურვა ხელმძღვანელთა დასახელება. ხალხის ერთსულოვნებითა და სიმტკიცით გაბოროტებულმა მაზრის უფროსმა კაზაკებს უბრძანა: ხმლებითა და მათრახებით ემოქმედნათ. „შეიქმნა აურზაური. თავზარდაცემულნი ხობისწყალში გადაცვივდნენ. ვინც ცურვა იცოდა გადარჩა, ვინც არა, ხობის წყალში დაიხრჩო (იხ. დოკუმენტების კრებული. 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, გვ. 507-508).

რაკი რეპრესიებითა და დაშინებით ვერ მიაღწია საწადელს, მაზრის უფროსმა დიდი მემამულის, პ. დადიანის რჩევით, მოსყიდვის საშუალებით მოაწყო წითელი რაზმის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მეთაურის, დიმიტრი გეთიას მკვლელობა. გეთიას მკვლელობამ ხალხის სასტიკი აღშფოთება გამოიწვია. შურისგების სულისკვეთებით გამსჭვალულმა წითელრაზმელებმა ს. თოლორდავას ხელმძღვანელობით შეიარაღებული თავდასხმა მოახდინეს დადიანზე და მოკლეს იგი. გახშირდა თავდასხმები მემამულეებზე და პოლიციელებზე. ჯაშუშების, პოლიციელებისა და ჟანდარმების დახოცვა, დატუსაღებულ პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლება ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, როგორც ზუგდიდში, ისე სხვა მაზრაში.

მხეცური სისასტიკით ცნობილმა ზუგდიდის მაზრის უფროსმა კაზაკებს უბრძანა აეწიოკებინათ თოლორდავას ოჯახი, ეწამებინათ და ძალადობა ეხმარათ მეთაურის დედაზე, რომლის უდიდეს დანაშაულად მიაჩნდა ის, რომ მან გააჩინა „მეამბოხე" შვილი. კაზაკები დაესხნენ თავს „წითელი რაზმის" მეთაურის ოჯახს. ჯერ გაუგონარი სისასტიკით აწამეს დედა, ხოლო შემდეგ იგი წაათრიეს ბნელ კუთხეში და გულწასული ქალის გაუპატიურება სცადეს, მაგრამ ამ დროს მოძალადეებთან მიიჭრა მე-

თაურის მეუღლე ანტისა ქოიავა და ზედიზედ ჩასცა თავში მოძალადეებს ქვასანაყი, რითაც სამუდამოდ დაუკარგა მათ ველური მოქმედების ჟინი. სოფელ მუხურში მომხდარი ამბავი სწრაფად გავრცელდა მთელ მაზრაში. ანტისა ქოიავას გაბედული მოქმედება ქალთა ზნეობრივი სიწმინდის დაცვისათვის თავგანწირული ბრძოლის მისაბაძი მაგალითი გახდა. ამ მაგალითიდან დასკვნა ვერ გამოიტანა მაზრის უფროსმა კეგამოვმა. მეფის მთავრობისაგან ყოველმხრივ უფლებამოსილმა ჯალათმა არათუ ხელი აიღო ხალხის რბევა-აწიოკებასა და წამებაზე, არამედ კიდევ უფრო გაშმაგდა და გამძვინვარდა. ქართველ ქალთა მაღალი ზნეობრივი ღირსების ფეხქვეშ გასათელავად და რევოლუციური მოძრაობის ჩასაქრობად, მან ყოვლად უხამსი მხეცური მეთოდი შეიმუშავა, რომელიც თავის თანამოაზრეებს მაზრის რეზიდენციაში გააცნო. „მანჯურიის ასალებად მთავრობას ხიშტების გამოყენება უხდება. მუხურის აღებას კი მე ვფიქრობ სქესობრივი ორგანოთი". თავისი გამოგონებით კმაყოფილმა მაზრის უფროსმა შეკრიბა კაზაკები და მისცა მითითება: ნებას გრთავთ წაჰვიდეთ სოფლად. ნამუსი ახადოთ ქალებს, ხოლო თუ წინააღმდეგობა გაგიწიონ, ძალადობა იხმარეთ. წადით და იმოქმედეთ ისე, რომ ერთი წლის შემდეგ ყოველი გლეხის ოჯახში კაზაკი დახტოდეს". (იხ. ს. ც. ს. არქივი , ფ. ოვდ. საქმე 126, გვ. 1-2).

მეფის მოხელეებისაგან კაზაკებს რა არ გაეგონათ, მაგრამ ასეთი რამ არასოდეს. კაზაკები სიხარულით შეხვდნენ ასეთ დირექტივას. მყისვე გაემართნენ სოფლისაკენ, კაზაკები მხეცებივით ეცნენ მუხურელ ქალებს, მაგრამ არ გაუმართლდათ იმედები. თავიანთი ზნეობრივი სიწმინდის დასაცავად ყოველგვარ საშუალებას მიმართეს ქალებმა ზოგმა სამზარეულოში შუა ცეცხლთან მჯდომმა ხელი სტაცა ქვაბს და მდუღარე შეასხა მოძალადეს სახეში, ზოგმა კბილები გაუყარა მკლავში, ზოგმა ფრჩხილებით დაუღადრა სახე და ზოგმა დანით მიაყენა ჭრილობა. სალამოთი კაზაკთა ჯგუფი კეგამოვთან თავშეხვეული და დამწუხრებული დაბრუნდა. ერთმა კაზაკმა მაზრის უფროსს კაზაკთა სახელით სთხოვა სხვაგან გადაეყვანათ. კეგამოვი საგონებელში ჩავარდა. ბევრი ფიქრის შემდეგ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მიემართა უფრო მოქნილი, ნაცადი ხერხისათვის. მან შეკრიბა პოლიციელები და თავისი განზრახვა გაანდო. მთავარია მეთაურთა ხელში ჩაგდება. სანამ „წითელი რაზმის" მეთაურები თავისუფლად დანავარდობენ, ჩვენ უშფოთველ ძილს ვერ ვეღირსებით. ვინც თოლორდავას კვალს მიაგნებს და მის ადგილ-სამყოფელს მაცნობებს, მედლით დავაჯილდოვებო, — სთქვა და ამით დაამთავრა საუბარი მათთან.

ერთი კვირის შემდეგ მაზრის უფროსთან დილაადრიან გამოცხადდა წალენჯიხის ბოქაული შენგელია. ბოქაულის დანახვაზე კეგამოვს სახე სიხარულით ჯაუბრწყინდა.

— მობრძანდით, ბოქაულო, მობრძანდით! ალბათ კარგი ამბის მახარობელი ხართ, თორემ ზამთრის სუსხიან ამინდში ასე ადრე არ მოხვიდოდით.

— ჭეშმარიტად გულთმისანი ხართ, ბატონო — ლაქუცით უთხრა ბოქაულმა. როგორც იქნა მივაგენი იმ ავაზაკის კვალს. თურმე სოფელ ბახუმეში იმალება.

—ოი, შენ გაგახარა ღმერთმა! — აღტაცებით სთქვა მაზრის უფროსმა.

— ჩვენი ამქვეყნიური ღმერთი თქვენ ბრძანდებით, ბატონო და თქვენს წყალობას თუ ვეღირსეთ, მეტი არაფერი გვინდა.

— ვისთან იმალება ის ღვთის მოღალატე?

— გუშინ შებინდებისას, ერთ ქალთან საუბარში გართული სიმონ თოლორდავად შევიცანი...

— ვინ ქალთან? სთქვი, შე კაცო! დააყენე საშველი.

— ნუნუ ჯგერენაიასთან. ეს ის ქალია, რომელიც დ. გეთიასთან, ლეო შენგელაიასთან (ლეო შენგელაია არის ცნობილი მწერალი ლეო ქიაჩელი, რომელიც იმ დროს სოციალ-დემოკრატიული იდეების მგზნებარე აგიტაცია-პროპაგანდას ეწეოდა ზუგდიდის მაზრის გლეხობასა და მოსწავლე-ახალგაზრდობაში) და სხვებთან ერთად ცარიზმის საწინააღმდეგო პროპაგანდას ეწეოდა და ხალხს ამხედრებდა მეფის მთავრობის წინააღმდეგ. ახლა ძუძუმწოვარა ბავშვი ჰყავს, თორემ წითელ რაზმელებთან ერთად ისიც ტყეში იქნებოდა გახიზნული.

— მაგ ქალის საშუალებით ფიქრობ რაზმის მეთაურის ხელში ჩაგდებას?

— დიახ, მხოლოდ მაგის იმედი მაქვს.

— აბა შენ იცი, ბოქაულო! თუ მაგ საქმეს გააკეთებ, მედლით დაგიმშვენებ მკერდს.

— დიდი მადლობა. მედალი მკერდს კი დამიმშვენებს, მაგრამ კუჭს კი ვერაფერს არგებს, კუჭს რა ვუყო, ბატონო? დაბალი ხმით უთხრა ბოქაულმა.

— ქრთამს მთხოვ, ბოქაულო? ისწავლეთ ქრთამის აღება და მეტზე არაფერზე ფიქრობთ, — წყენით მიმართა მაზრის უფროსმა.

— კი ბატონო, ვისწავლეთ, მაგრამ ვისგან ვისწავლეთ? უფროსებისაგან, მთავრობის კაცებისაგან...

— თავხედო! ეგ თუ ისწავლეთ, ის რატომ ვერ ისწავლეთ, რომ უფროსები უმცროსებისაგან იღებენ ძღვენს და არა უმცროსები უფროსებისაგან.

— მართალს ბრძანებთ, ბატონო, მაგრამ ზოგჯერ უფროსებმაც თუ არაფერი გაიმეტეს, ისე საქმე არ გაკეთდება, მე რომ რაიმე გამაჩნდეს, თქვენ როგორ შეგაწუხებდით, მაგრამ ეგ ქალი ადვილად რომ არ გასცემს მეთაურს, ამაში დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეთ.

— ბოქაულო, როგორ გინდა მაგ ქალის გული მოინადირო? მაგასაც ხომ ექნება ფიცი დადებული საერთო საქმის ერთგულებაზე, — ლმობიერად უთხრა კეგამოვმა.

— მაგაზე ფიქრს შევალიე ჩემი გონება და ბოლოს მივაგენი ფიცის გამტეხ ჯადოს. ხომ იცით, ბატონო, რა ჯადო აქვს ოქროს, — ტკბილად მიუგო ბოქაულმა.

— ვთქვათ და არ გასჭრა მაგ ჯადომ, მაშინ რას იზამ?

— მაშინ ძალას ვიხმარ. ორი კაზაკი გამატანეთ და მე ვიცი.

— აჰა, წაიღე, — უთხრა კეგამოვმა და ოქროთი სავსე ქისა გაუწოდა.

ბოქაულმა მადლობის ნიშნად თავი დაუკრა და გაუჩინარდა.

* * *

ზამთრის ნისლიანი დილა თენდებოდა, როცა ცხენოსნები სოფელ ხაბუმეში გახარიას ჭიშკართან შეჩერდნენ. ნუნუმ ჭიშკართან შეჯგუფულ ცხენოსნებს რომ მოჰკრა თვალი ელდა ეცა. ბავშვი სწრაფად გაახვია თავშალში და დაუპატიჟებელ სტუმრებს შეეგება: მხედრები ეზოში შევიდნენ.

— ეს რა კარგი ბავშვი გყოლია, ნუნუ, — ცბიერად უთხრა ბოქაულმა. ნუნუმ ბავშვი მაგრად მიიკრა მკერდზე და ბოქაულს მოსვლის მიზეზი ჰკითხა: — რამ შეგაწუხათ, ჩემო ბატონო, კაზაკები რად მოგიყვანიათ?

ბოქაულმა შემპარავად დაუწყო ლაპარაკი.

— შვილო, ნუნუ, შენ გონიერი, ცხოვრებაში ჩახედული ქალი ხარ და კარგად გამიგებ. ხომ ხედავ, არეულობით არაფერი გამოვიდა. განგებას უნდა ვუმადლოდეთ, რომ კარგი მთავრობა გვყავს. სხვა მთავრობა რომ ყოფილიყო, ხალხს გაჟუჟავდა. ჩვენი მთავრობა კი ხალხს არ ერჩის. მხოლოდ ამბოხების მეთაურებს იჭერს და ციხეებში ამწყვდევს დროებით...

— კი მაგრამ, მე რა შუაში ვარ, ჩემგან რას მოითხოვთ.

— დანამდვილებით გაუგია მაზრის უფროსს, რომ ს. თოლორდავა ამ სოფელში იმალება, ზოგჯერ თურმე თქვენს ოჯახშიაც ათევს ღამეს. ჰოდა, თუ ხელს შეგვიწყობ მის შეპყრობაში, აი ამით დაგასაჩუქრებთ, — უთხრა და ქისა უბეში ჩაუდო.

ნუნუმ ქისა სწრაფად ამოიღო უბიდან და ფეხებთან მიუგდო ბოქაულს. ოქროს მანეთები მიმოიფანტა.

ნუნუმ მიმოფანტული მანეთები რომ დაინახა, ბოქაულს მიუბრუნდა და ზიზღით უთხრა:

— ამაოდ გარჯილხართ, ბოქაულო! ოქროთი გინდათ მატაროთ თქვენს ჭკუაზე? ეგ თქვენ ყიდით ყველაფერს ოქროზე. გადაჭრით გიცხადებთ, რომ არ ვიცი მეთაურის ასავალ-დასავალი. კიდევაც რომ ვიცოდე, მის გაცემას სიკვდილს ვარჩევდი, — სთქვა და სახლისაკენ შემობრუნდა, წასვლა დააპირა, მაგრამ ბოქაული წინ გადაუდგა და მრისხანედ უთხრა:

— გონს მოდი! ნუ გაჯიქდი, თორემ სიკვდილს სანატრელად გაგიხდი!

— სხვისი გაცემისათვის არათუ წუთისოფლის სიცოცხლე, არამედ უკვდავებაც რომ მომანიჭოთ, არ მინდა. თუ ჩემი სიკვ-

დილი გწადიათ, მომკალით, ოღონდ ნება მომეცით ბავშვი აკვანში ჩავაწვინო, — თქვა და ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ბოქაულმა ხელი სტაცა ბავშვს და წართმევა დაუპირა. გაიმართა ორთაჭიდილი. ამ დროს კაზაკმა ნუნუს მუშტი ჰკრა შუბლში. ნუნუს მუხლი მოეკვეთა და ჩაიკეცა. გონს რომ მოვიდა, ბავშვი კაზაკის ხელში შენიშნა, რომელიც ჭასთან იდგა და ბოქაულის განკარგულებას ელოდებოდა. გაწბილებული და იმედგაცრუებული ბოქაული კი ნუნუს მიუბრუნდა და ცივად უთხრა: — კმარა სიჯიუტე, უკანასკნელად გაფრთხილებ: მოახდინო არჩევანი. ან შვილი ან რაზმის მეთაური. ლაილაის დრო არ არის. კაზაკო, აბა, ყური მიგდე და ბრძანება მყისვე შეასრულე: სამის გაგონებაზე ბავშვი ჭაში გადააგდე. კაზაკმა ყურადღება დაძაბა. ნუნუ კანკალმა აიტანა, გული ძალუმად უცემდა, ბოქაულთან ბარბაცით მივიდა და ლმობიერად უთხრა:

— გეყოფათ რაც ცოდვა გაწევთ კისერზე, ჩემი პატარა ნუგზარის ცოდვა კიდევ არ აიკიდოთ. ბავშვი მხეცებსაც კი ებრალებათ, ნუთუ ადამიანს არ უნდა ებრალებოდეს?

ნუნუს სიტყვები თითქოს არც გაეგონოს, ბოქაულმა ზურგი შეაქცია მას, კაზაკს მიუბრუნდა და თვლა დაიწყო. ერთი... ორი... სამი. სამის გაგონებაზე კაზაკმა ბავშვისაგან ხელები გაინთავისუფლა და ჭას გაშორდა. კაზაკის ხელში რომ ბავშვი ვერ დაინახა, „ვაი შენს დედასო", — ცივად შეჰკივლა ნუნუმ და ჭაში გადაეშვა. შემზარავმა წივილ-კივილმა შესძრა მთელი სოფელი. ნუნუ ჯგერენაია სამუდამოდ დარჩა ხალხის ხსოვნაში:

რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში; ხალხის ფართო მასების თავგანწირულმა ბრძოლებმა ძირფესვიანად შეარყია მეფის ხელისუფლება, მაგრამ ვერ მოსპო იგი. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ხალხის ფართო მასებმა გაითვალისწინეს ის მდიდარი გამოცდილება, რომელიც შეიძინეს 1905 წლის რევოლუციაში და წარმატებას მიაღწიეს 1917 წლის ოქტომბერში.

ვ. ი. ლენინი 1905 წლის რევოლუციას ოქტომბრის რევოლუციის გენერალურ რეპეტიციას უწოდებდა. აი, რას წერდა ლენინი ამის შესახებ:

„ისეთი გენერალური რეპეტიციის გარეშე, როგორიც იყო 1905 წელს, 1917 წლის რევოლუცია, როგორც თებერვლის ბურჟუაზიული, ისე ოქტომბრის პროლეტარული, შეუძლებელი იქნებოდა" (ვ. ი. ლენინი, ტ. 29, გვ. 360).

საბჭოთა ადამიანები სიამაყის გრძნობით იგონებენ და დიდად აფასებენ რევოლუციის გმირთა სახელოვან საქმეებს. რუსეთის პირველი სახალხო რევოლუციის ისტორია თანამედროვე ახალგაზრდობის შემოქმედებითი პოლიტიკური ბრძოლის სკოლაა.

ილია მელქაძე

ჩვენი საოჯახო კლუბი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეპილეფსიის პრაქტიკული ნიშნები ბავშვებში

ეპილეფსია ბავშვებს ხშირად ისეთი მოვლენებით ეწყება, რომლებიც სრულიად არა ჰგავს იმ კრუნჩხვით შეტევას, რასაც ხალხი ბნედას უწოდებს.

ზოგჯერ ეპილეფსია წლების მანძილზე, ფარულად, ყოველგვარი კრუნჩხვითი გულყრების გარეშე მიმდინარეობს და ხანმოკლე (ხშირად წუთიერი) ფსიქიკური შეტევებით, ქცევის ხანმოკლე უმიზეზო დარღვევით, ანდა შინაგანი ორგანოების ფუნქციის უმიზეზო მწვავე აშლით ვლინდება. ხდება, აგრეთვე, ცალკეული კუნთის შეუმჩნეველი შეკუმშვები და ა. შ.

ზოგ შემთხვევაში კრუნჩხვითი გულყრების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე, ბავშვს (ან მოზარდს) ეწყება გონებრივი ფუნქციების თანდათანობითი დაქვეითება და ხასიათის შეცვლა, რაც ეპილეფსიით დაავადებული ადამიანისთვისაა დამახასიათებელი.

...ჩვენთან საკონსულტაციოდ მოიყვანეს 10 წლის გოგონა, რომელსაც 7 წლის ასაკიდან მოყოლებული, ხანგამოშვებით, დღის საათებში, სრულიად მოულოდნელად რამდენიმე წუთით ეწყებოდა აუტანელი ტკივილი მუცლის მიდამოში, მაღალი სიცხე, ჭარბი ოფლისდენა და შეუჩერებელი პირღებინება. სამი წლის განმავლობაში ჩატარებული მრავალი გამოკვლევით (რენტგენოლოგიური, ლაბორატორიული და სხვ.) ნორმიდან გადახრა ვერ იქნა დადგენილი, პედიატრის დანიშნულება შედეგს არ იძლეოდა... შეტევები უმიზეზოდ, პერიოდულად მეორდებოდა (ყოველგვარი შინაგანი დაავადების, ან კუჭნაწლავის სისტემის შესაძლო მოწამვლის ან წინამორბედი რაიმე უსიამოვნო განცდის გარეშე). დაისვა საკითხი ფსიქონევროლოგის კონსულტაციისა. გამოირკვა, რომ უკანასკნელ წელს ბავშვს შეტევები გაუხშირდა, ემართება ღამითაც. შეტევების დროს ცნობიერებას უფრო ღრმად ჰკარგავს, ვეღარ ერკვევა გარემოში, ეჭიმება კიდურები, უკრთის სახის კუნთები, რამოდენიმეჯერ გაეპარა შარდი, ხშირად შეტევის შემდეგ, ჩაეძინება ხოლმე, მეორე დღეს კი მომხდარის შესახებ არაფერი არ ახსოვს. მშობლები აღნიშნავენ ბავშვის მეხსიერების დაქვეითებას, სწავლის გაძნელებას, ხასიათის შეცვლას... ბავშვს დაესვა ეპილეფსიის ერთ-ერთი ფორმის დიაგნოზი და დაენიშნა სათანადო მკურნალობა.

ბავშვობის ასაკში ეპილეფსია ხშირად ძილის პერიოდული, შეტევისმაგვარი დარღვევით იწყება. ჩვილებისათვის დამახასიათებელია ძილში რითმული შეკრთომები, ხშირად უმიზეზო გამოღვიძება. ამ დროს ბავშვი გარემოზე რეაქციას არ იძლევა. სკოლამდელ ასაკში ძილის დარღვევას ემატება ღამის უმიზეზო და გაუგებარი შე-

შები, რომელთა შესახებ მეორე დღეს ბავშვს არაფერი არ ახსოვს. სასკოლო ასაკში ბავშვი ხშირად ღამე უაზროდ წამოდგება და დადის, თან რთულ ავტომატურ მოძრაობებს აკეთებს.

9 წლის ნიკოს ღამ-ღამობით ძლიერი შიშები ეწყებოდა. ყვიროდა, თვალები დაჭყეტილი, სახე ფერმკრთალი, სხეული დაჭიმული ჰქონდა, შეკითხვებზე არ პასუხობდა, დედასაც კი ვერა სცნობდა, არ იძლეოდა არავითარ საპასუხო რეაქციას. შეტევის შემდეგ ნიკო იძინებდა ისე, რომ გონზე არც კი მოდიოდა, მეორე დღეს მას აღარაფერი არ ახსოვდა. ამ შემთხვევაშიც დაავადება უკვე რამდენიმე წლის დაწყებული იყო, დაწყებული იყო, კრუნჩხვის და გულყრის გარეშე. უკანასკნელ ხანებში ღამის შიშებს დაემატა ძილში წამოდგომა და უაზრო სიარული, ხტუნვა, იატაკზე მოშარდვა. ორი თვის წინ, დღისით განუვითარდა პირველი კრუნჩხვითი შეტევა და „წუთიერი გამოთიშვები".

ხშირად გვხვდება გადაულახავი ძილიანობის შეტევა, მაგალითად, დილის საათებში კარგი ღამის ძილის შემდეგ, ან ძილისადმი ასევე გადაულახავი ლტოლვა სრულიად შეუფერებელ გარემოში (ქუჩაში, სკოლაში, გასართობ ადგილას). ეპილეფსიის უკრუნჩხვო სტადიისათვის მეტად დამახასიათებელია სიზმრების თავისებური შინაარსი — კოშმარებით (ომების, ცეცხლის, ხანძრის, მკვლელობის, სისხლის სურათებითა და განცდით).

საჭიროა გვახსოვდეს ისიც, რომ ძილის დარღვევა, ღამის შიში ან ღამით წამოდგომა და სიარული ყოველთვის როდია ეპილეფსიის დასაწყისი. ამ მოვლენების ეპილეფსიურ ბუნებაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ეჭვის მიტანა, თუ ძილის დარღვევას ან ღამის შიშების აღმოცენებას არავითარი კავშირი არა აქვს ბავშვის წინადღის (დღეების) განცდებთან, ფსიქიკურ ტრავმასთან, შინაგან დაავადებასთან, მაღალ ტემპერატურასთან ან სხვა რაიმე შესამჩნევ მიზეზთან. მეორეს მხრივ, ეპილეფსიაზე მიუთითებს ღამის შიშების პაროქსიზმული (შეტევითი) აღმოცენება, რითმიულობა, ერთტიპიურობა, ტენდენცია გართულებისადმი, კერძოდ, თანდათანობით გახანგრძლივება, ცალკეული კრუნჩხვითი მოვლენების გამომჟღავნება, შარდის უნებური დაქცევა, ცნობიერების დაკარგვის გაღრმავება (გარემოს შეუცნობლობა, ბავშვთან კონტაქტის დამყარების შეუძლებლობა). ეპილეფსიაზე გარკვეულად გვაფიქრებინებს აგრეთვე შეტევის შემდგომი ძილი, და ის, რომ მეორე დღეს, მომხდარი ფაქტის შესახებ მას არაფერი ახსოვს.

არც ისე იშვიათია ეპილეფსიის დაწყება არატიპიური მოძრაობებით, რაც ხშირად შეუმჩნეველია გარშემომყოფებისათვის: უცაბედად აღმოცენებული პირის კუთხეების წამიერი კრთომა (შეკუმშვა), ღეჭვის ან ყლაპვისმსგავსი ავტომატური მოძრაობები, მოულოდნელი შეტევა თვალების ხამხამისა, კიდურების ან მთელი სხეულის წუთიერი რითმული კანკალი, ელვისებურად თავის წინ დახრა ან თავის უკან გადაგდება და სხვ.

ხშირია აგრეთვე ავტომატური მოქმედებათა სხვადასხვაგვარი ფორმები: მოულოდნელი ცოცვა სრულიად შეუფერებელ სიტუაციაში (ვთქვათ ქუჩაში ან გაკვეთილზე), საგნების უმიზეზო ტაცება, გვერდზე მდგომის (ხშირად უცხო პიროვნების) მოხვევნა ხელებითა და ფეხებით, გაუგებარი ტრიალი ერთ ადგილზე, უმიზეზო სიცილის (ხარხარის) შეტევა, რომლის შესახებ შემდეგ არაფერი არ ახსოვს, გვხვდება აგრეთვე მხედველობის, სმენის და ყნოსვის წუთიერი მოჩვენებები, ზოგჯერ ნაცნობი საგნების და პიროვნებების სრული შეუცნობლობა, ან პირიქით, უცნობ მოვლენათა უკვე ნაცნობად აღიარება. ადრეულ სტადიაში ხშირია მოულოდნელად მწვავედ აღმოცენებული ხეტიალის შეტევა, რომელიც მოკლებულია მოტივს, მიზანს, და რომლის დროს ავადმყოფს აღენიშნება არანათელი ცნობიერება.

ეპილეფსიის დასაწყის ნიშნად, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება ჩაითვალოს შეტევითი ხასიათის თავის ტკივილი (სხვადასხვა ფერის მოჩვენებებით და ხშირად პირისღებინებით), ასევე — შარდის შეუკავებლობის სრულიად მოულოდნელი და უმიზეზო განვითარება სასკოლო პერიოდში. ხშირად შარდის შეუკავებლობასთან ერთად, მთლად უმიზეზოდ, ბავშვს უვითარდება ენაბორძიკობა.

უკრუნჩხვო სტადიაში და ზოგჯერ შემდეგაც ხშირია გუნება-განწყობის ხანმოკლე შეცვლა დაწეული ტონით, უმოტივო ბოღმით, გაბოროტებით, მკვეთრი შინაგანი დაძაბულობით, უკმაყოფილებით, ზოგჯერ გარშემომყოფთა მიმართ უნდობლობა. ასეთი მდგომარეობანი მეორდება პერიოდულად და გრძელდება საათები ან დღეები. შედარებით იშვიათია გუნება-განწყობის აწეული ტონის (ეიფორიული მდგომარეობის) შეტევები.

ვინაიდან ეპილეფსიის უკრუნჩხვო სტადიის ზემოდჩამოთვლილი არატიპიური საწყისი ნიშნები აღმოცენდება ეპიზოდურად, უკიდურესად მცირე ხანგრძლივობისაა და გარეგნულად შეუმჩნეველი რჩება, არც ბავშვები და ხშირად არც მშობლები ამ გამოუკვეთავ ნიშნებს არ აქცევენ ყურადღებას და ამიტომ არ მიმართავენ სამედიცინო დახმარებას.

მშობლებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ ეპილეფსიური დაავადების ფარული (უკრუნჩხვო) სტადია შეიძლება გაგრძელდეს 3-5-10 წელიც კი, ამიტომ ეპილეფსიის დასაწყისი ნიშნების ცოდნას, მათ დროულ გამოცნობას უდიდესი პრაქტიკული და სოციალური მნიშვნელობა აქვს.

დღეს, წარმატებით ინკურნება ეპილეფსიის არა მარტო დასაწყისი ფორმები, არამედ, ბევრ შემთხვევაში ამ დაავადების შორსწასული მძიმე ფორმებიც კი.

**მირიან მესტიაშვილი,**

**ფსიქიატრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.**

# ვეხმარე-ბით კი დიასახლი-სებს?

(მოსაგვარებელი საქმე)

აბანო-სამრეცხაოების ტრესტში მიმავალი არც თუ შემთხვევით ვიხსენებდი: დედა მარტოხელა ქალი იყო; ოთხ შვილს გვივლიდა. ალიონიდან გვიან ღამემდე მუხლს არ ჩახრიდა; ვერ ასწრებდა მაინც ყველა საქმის მოთავიანებას; დაუგროვდებოდა სარეცხი, ჭიდან ვედროებით მოზიდავდა წყალს, გეჯაში ჩაასხამდა, ჩაალბობდა თეთრეულს, კერიაზე ცეცხლს ააგუზგუზებდა და სარეცხის დიდ ქვაბს შემოდგამდა. დილით იწყებდა რეცხვას, საღამოთი ამთავრებდა. მეორე დღეს მზის გულზე შრებოდა გაქათქათებული თეთრეული.

...მერე დაუთოება... კარადის უჯრებში ტკიცინა ზეწრებისა და შალითების ჩაწიკწიკება... დედა კი მისავათებული, სოდისგან ხელებდაშაშრული ხანდახან იქვე მაგიდაზე, ჩამოიძინებდა ხოლმე. მას შურდა ქალაქელი დიასახლისების, რომელთაც შეეძლოთ ფუთაში გამოკრული სარეცხი რომელიმე უახლოეს პუნქტში მიეტანათ და დამქანცველი შრომაც თავიდან იყო აცილებული.

იმ დღეს სწორედ ეს სამრეცხაოები უნდა მენახა და დამეწერა იმ ადამიანებზე, რომელთა, ერთი შეხედვით, უბრალო შრომა უმსუბუქებს ოჯახურ საზრუნავს დიასახლისებს...

* * *

მექანიზებული სამრეცხაო № 2 (თემქის დასახლება).

აქ სამრეცხაო განყოფილებაში ორი ქალი მუშაობს: პელო მიდელაშვილი და ციალა ხუციშვილი. ჭუჭყიანი თეთრეულის გროვას ხელით იღებენ ქალები და სარეცხ მანქანებში ყრიან, ხელითვე გადააქვთ ცენტრაფუგებში (საწურავ მანქანებში), მერე კი ლიფტში ტვირთავენ. დღეში 400 კგ უნდა გარეცხონ. მძიმე შრომაა, ისიც დავუმატოთ, რომ სამრეცხაოს ფართობი პატარაა, არ ნიავდება, ანაზღაურება კი თვეში საშუალოდ 130 მანეთია; ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ციალას დიდი კმაყოფილება არ გამოუთქვამს.

მეორე განყოფილებაში 7 ქალი მუშაობს; აქ სარეცხი შრება და უთოვდება (უნდა აღვნიშნოთ, თაროებზე მშვენივრად გარეცხილი, დაუთოებული თეთრეული და ფერადი სარეცხი ეწყო). თითქოს მუშაობის უკეთესი პირობები ჩანდა; თუმცა სასაყვედურო აქაც ბლომად აღმოჩნდა:

მთელი დღე ფეხზე დგანან, შესვენებისას კი სკამებიც არ აქვთ, რომ ჩამოსხდნენ.

ვენტილატორი არ მუშაობს, უჰაერობაა;

საზიდრები არ ჰყოფნით, სარეცხი რომ გადმოიტანონ.

„ერთადერთი შხაპი მუშაობს.

სამრეცხაოს გამგემ ტრისტან ხოველაშვილმა თქვა: — სამართლიანად საყვედურობენ, ამიტომ უახლოეს ხანში, ვფიქრობთ, ლიფტი გავაფართოვოთ ისე, რომ საზიდარი შიგ პირდაპირ ეტეოდეს; მოვაწყოთ სასადილო ოთახი, გავზარდოთ შხაპების რაოდენობა; სკამებს კი ხვალვე მოვიტანთ.

...თქვენ მეკითხებით კლიენტებთან ურთიერთობის შესახებ: სამრეცხაო ძირითადად ორგანიზაციებს ემსახურება (სასტუმროებს, პანსიონატებს, პროფტექნიკურ სასწავლებლებს); ინდივიდუალურ შეკვეთებსაც ვღებულობთ, მაგრამ მოსახლეობა სარეცხით ვერ გვაკმაყოფილებს. რატომ არ მოდიან დიასახლისები? ფასები ხელმისაწვდომია, სწრაფადაც ვასრულებთ დაკვეთას, ხარისხიც კარგია; ოღონდ ზოგჯერ გვეშლება ხელი: ან წყალს არ მოგვაწვდიან, ან სინათლეს.. შუა რეცხვაში რომ სარეცხი შეჩერდება, ან ლაქა ჩაჯდება, ან დაგვიგვიანდება და... ეკარგებათ ნდობა. ზოგ დიასახლისს არ სურს მისი სარეცხი სხვის სარეცხთან ერთად გაირეცხოს, მიკრობებს აიკრავსო... მათ ვარწმუნებთ, რომ ჯერ ერთი ეს სარეცხი ცალკე ირეცხება, მერე ქლორს ვუშვებით ამ სარეცხს, დეზინფექციას ვუკეთებთ; მაინც უნდოდ არიან განწყობილი. ამ შემთხვევაში, ვეუბნებით, რომ აქვე გვაქვს თვითმომსახურების განყოფილებაც, სადაც მათ შეუძლიათ მანქანა-დანადგარების მეშვეობით თვითონვე გარეცხონ.

* * *

მექანიზებული სამრეცხაო № 1 (სოლანლუღი).

აქ 70 ქალია დასაქმებული; მოწინავეთა შორის დაასახელეს: კონტროლიორი ბაბულია ნოზაძე (9 წელია მუშაობს), მეუთოვე მედეა მოლარიშვილი (8 წელია მუშაობს); საერთოდ ამ სამრეცხაოზე კარგი ბევრი ითქმის, მაგრამ ჯერ სასაყვედურო: ვენტილაცია აქაც არ არის წესრიგში; შხაპი არ აქვთ; მტვერი შესაძლოა მილების საშუალებით გარეთ გავიდეს, მაგრამ მილები არ არის გაყვანილი;

— დაბალი ხარისხის ფხვნილებია — საყვედურობს ბაბულია, — ლაქები არ შორდება სარეცხს, უკმაყოფილო კლიენტი მიდის და აღარ ბრუნდება. ზოგჯერ რამდენჯერმე ვდებთ ქვაბებში სარეცხს ლაქა რომ მოვაშოროთ; ამის გამო ცვდება თეთრეული, იხევა კიდეც. ამის შემდეგ ნდობა ვიღას ექნება?

* * *

აბანო-სამრეცხაო კომბინატი № 2 ყოფილი ეკლესიის შენობაშია მოთავსებული. შეხვალთ თუ არა, მაშინვე თვალში გეცემათ ძველი დანადგარები, წყალი ღვარად ჩადის ჭუჭყიან ქვის იატაკზე, ცივა, დგას ფხვნილების სუნი, ჰაერი არ ნიავდება. იმავე ოთახშია საშრობიც.

— ცხრა წელიწადია აქ ვმუშაობ, — გვეუბნება მრეცხავი რაისა გაზაშვილი, — არ ვიცი, რამ გამაძლებინა. აი, ამ ფუთებს ხომ ხედავთ? უნდა ავიღო, მანქანებში ჩავყარო; ხანდახან თვეობით ვჩერდებით, ამიტომ დიდხანს აქ მუშები ვერ იცდიან.

საშრობ განყოფილებაში უარესადაა საქმე: ამდენ ხანს ხელით აუთოებდნენ; ახლახან დადგეს ახალი საუთოებელი დანადგარი; საშრობი არ ყოფნით; თუ დარია, გარეთ აშრობენ, ეზოში. თუ წვიმაა, უქმად ჩერდებიან.

ტრესტის მთავარმა ინჟინერმა ხელები გაშალა. სიძველის გამო დალუქეს ეს საქვაბე: როგორ შეიძლება, ახლანდელ დროში ასეთი სამრეცხაო მუშაობდეს, მაგრამ გეგმას რა ვუყოთ? ამიტომ გადავწყვიტეთ, იანვრამდე ვამუშაოთ; მერე კი დავხურავთ. სამწუხარო ისაა, რომ ასეთ მდგომარეობაშია თბილისის ბევრი სამრეცხაო.

* * *

იმ დღეს კლიენტებს აღარ შევხვედრივარ, არ მომისმენია მათთვის; მასალა საკმაოდ დაგროვდა, რომელიც პასუხს ითხოვდა;

— რა გვიშლის ხელს? — თქვა ინჟინერმა ავთანდილ ხელაძემ, — არა გვაქვს სათადარიგო ნაწილები, ვთქვათ, გაფუჭდა პატარა კბილანა... შემცვლელი არ გაჰყვაჩნია. მივდივართ ქარხანაში, არაქარხნული წესით ვაჩარხვინებთ; მუშაობა კი ფერხდება.

სამრეცხაოებში კონვეირული სისტემის დანერგვაა საჭირო, რომ ხელით მძიმე შრომა თავიდან ავიცილოთ; საერთოდ კი, თუ სწორად ვიტყვით, ერთადერთი საშველია ძველი მანქანების შეცვლა თანამედროვეთი.

ამ მიზეზის აღნიშვნითვე დაიწყო ტრესტის მმართველმა აკაკი გელოვანმა და მერე დაუმატა: არ გვყავს ახალგაზრდა კადრები (ლენინისა და ოქტომბრის რაიონის კომკავშირის რაიკომის დახმარებით გვინდა მოვიზიდოთ ახალგაზრდობა. შევქმნათ გოგონების ბრიგადა; გამომუშავება კარგი ექნებათ, არა ნაკლებ 150 მანეთისა; ამ პროფესიას სწავლა არ სჭირდება. მალე დამოუკიდებლად იმუშავებენ);

უნდა ვუსაყვედუროთ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც სინათლესა და წყალს გვაწვდიან.

არ გვამარაგებენ უმაღლესი ხარისხის ფხვნილებით, სახამებლით...

— რა კეთდება და რა უნდა გაკეთდეს, ბატონო აკაკი, კლიენტთა მოსაზიდად?

— გარდა რეცხვისა, ვაქირავებთ თეთრეულს. დაუთოებულ და დეზინფიცირებულ თეთრეულის კომპლექტს გამქირავებელ პუნქტებში იღებს კლიენტი; ამჟამად ბრუნვაში 2 000-ზე მეტი კომპლექტია; ძირითადად სტუდენტებსა და მოხუცებულებს მიაქვთ, ძალიან გვემადლიერებიან.

მიმღები პუნქტები თბილისის ყველა უბანში არ გვაქვს და რაც არის ისიც არ პასუხობს მოთხოვნილებას არც ფართით, არც აღჭურვილობით, არც ადგილმდებარეობით; ამას წინათ დიასახლისები გვწერდნენ: „გააუქმეს ჩასაბარებელი პუნქტი საბურთალოს ქუჩაზე; პეკინზე უნდა მივიტანოთო; ხომ წარმოგიდგენიათ, 4-5 ოჯახის სარეცხი რამხელა ფუთა გამოვა; რით წავიღოთ? ტაქსით? ეს ხომ ძალიან ძვირი ჯდება?“

ჩვენ ვცდილობთ ასეთ შემთხვევაში, დავეხმაროთ მათ, ბინაზე ტელეფონით გამოიძახებენ მოლარეს, რომელიც ადგილზე მიიღებს გასარეცხად თეთრეულს და დაწესებული დროის შემდეგ (მათი სურვილის მიხედვით) გარეცხილ თეთრეულს მიუტანენ ბინაზე...

რადგან შეფუთვა ძვირი ჯდება, ვფიქრობთ, მოქალაქეებს იაფ ფასებში მივყიდოთ ჩანთები, რომელშიც ჩადებენ თეთრეულს; ჩანთა თეთრეულთან ერთად გაირეცხება.

სამინისტრო გვპირდება, გავხსნით თვითმომსახურების განყოფილებებსო.

გლდანის მასივში მალე ამუშავდება ფინური სამრეცხაო...

* * *

შაბათ დღეს ვაკეში მდებარე სამრეცხაო კომბინატის მიმღებ პუნქტში დიდ რიგს მივუსწარი; ვუყურებდი მათ და ვიხსენებდი მთავარი ინჟინრის ნათქვამს, მოსახლეობის მხოლოდ 15 პროცენტი რეცხავს სამრეცხაოებში სარეცხსო. ძალიან მცირე რიცხვია და აქედან, ალბათ, 5 პროცენტი ამ სამრეცხაოზე მოდის. კლიენტთა საუბრიდან და რიგიდანაც ჩანდა, რომ უკმაყოფილონი არ იყვნენ. ამის მიზეზი ისაა, რომ კომბინატ № 1-ში ცალკეა საამქროები ინდივიდუალურ შემკვეთთათვის და ორგანიზაციებისათვის; შედარებით კარგი დანადგარებითაა აღჭურვილი: ადგილმდებარეობა ხელსაყრელია.

კლიენტებისადმი ჩვენი შეკითხვა უფრო ზოგადი ხასიათისა იყო:

რა არ სიამოვნებთ მათ, საერთოდ სამრეცხაოებში რეცხვასთან დაკავშირებით; აი მათი საუბრის ჩანაწერი:

— ზოგჯერ კარგად რეცხავენ, ზოგჯერ კი...

— ერთხელ თეთრეული შემიცვალეს, სხვისი მომიტანეს...

— მალე ცვდება თეთრეული, იცრიცება, თუ ხშირად მოვიტან სამრეცხაოში; ამიტომ მირჩევნია, თუ დრო მაქვს, თვითონ გავრეცხო.

— ავვიანებენ;

— ეჰ, სად სახლში გარეცხილი და სად სამრეცხაოში, რაც არ უნდა კარგად გააკეთონ...

* * *

შინმობრუნებული ვფიქრობდი: თანამედროვე ქალი ფაქტიურად ორმაგი ტვირთის მზიდველია; იგი დედაცაა, დიასახლისიც და საზოგადო მოღვაწეც... საბას თქმა რომ მოვიშველიოთ, მას სწორედ ძალი ჭიანჭველისა უნდა ჰქონდეს, რომ ამ საპატიო მოვალეობებს კარგად გაართვას თავი; როგორ სჭირდება მას ხელის შეწყობა, მიშველება.

არც ერთ დიდ (და პატარაშიც კი) ქალაქში დიასახლისები თეთრეულს სახლებში არ რეცხავენ; თბილისში კი...

არადა, როგორი საშური საქმეა; ის დრო, ხალისი და ენერგია რეცხვაში რომ დიასახლისს ეხარჯება, რომ შეიძლება მოხმარდეს მზიან დღეს მეუღლესა და ბავშვებთან ერთად გასეირნებას ტყეში ან მდინარის პირას; ნახონ კარგი ფილმი, წაიკითხონ წიგნი, ან თუნდაც დაუკრან ის მივიწყებული პიესა, ახალგაზრდულ წამებს რომ მოაგონებთ.

ხშირად ხდება ასე: თხოვდება ქალიშვილი, რომელიც იყო აქტიური, ცნობისმოყვარე: უყვარდა თეატრი, უმშვენიერესი ადგილების მონახულება; მერე კი, თითქოს რაღაც ქრება, დგინდება მუდმივი განრიგი: სამსახური — სახლი, სახლი — სამსახური, სადილები, რეცხვა, ბავშვები, ქმარი და წუწუნი იმაზე, რომ ვერაფერს ასწრებს.

ბოლოს კი გამახსენდა ღაღლილი სახე ერთი დიასახლისისა, რომელმაც გულმტკივნეულად იკითხა: — ნეტავ თუ დადგება ის დრო თბილისში, სახლებში აღარ ვრეცხავდეთ თეთრეულს?

* * *

საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროში უახლოესი წლების გეგმა წარმოგვიდგინეს:

მალე აშენდება ქიმწმენდისა და სამრეცხაოების ფაბრიკა:

გაიხსნება თვითმომსახურების სამრეცხაო III მასივში.

თემქის სამრეცხაო გაფართოვდება.

სოღანლუღის სამრეცხაოს წარმადობა გაიზრდება 100 %-ით.

საპროექტო ტექნოლოგიური ინსტიტუტი ამუშავებს პროექტს სრული მექანიზებული სამრეცხაოების შესაქმნელად. მოხდება დანადგართა რეკონსტრუქცია.

თბილისში დღე-ღამეში გაირეცხება 14 ტონა სარეცხი. (ახლა 9 ტონა ირეცხება);

ყველაფერი ეს თქვენთვის გაკეთდება, დიასახლისებო!

**თინა ჩხაიძე**

# რჩევები დიასახლისებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაყინული თევზი რომ სწრაფად გალღვეს, მოათავსეთ პოლიეთილენის პარკში, პარკს თავი მოუკარით და თბილ წყალში ჩაუშვით.

თევზი ხელიდან არ გაგისხლტებათ და ქერცლსაც ადვილად გააცლით, თუ მარილს წინასწარ წაუსვამთ.

მარილი რომ არ დანოტივდეს, შიგ უმი ბრინჯის რამდენიმე მარცვალი ჩადეთ.

შემწვარი ხორცი რომ გემრიელი იყოს, რამდენიმე წუთით მდუღარე წყალში მოათავსეთ.

ზოგჯერ რამდენიც არ უნდა ხარშოთ ქათამი, მაინც მაგარია. ამიტომ ოცი წუთის ხარშვის შემდეგ ქათამი ამოიღეთ და სამი-ოთხი წუთით ცივწყლიან ქვაბში ჩადეთ, მერე კი ისევ მდუღარე წყალში ჩააბრუნეთ.

თუ გინდათ, რომ კარგად მოიხარშოს გაფცქვნილი კარტოფილი და ფხვიერიც იყო, როგორც კი გაფცქვენით, ზედ ცივი წყალი მიუშვით და მერე მოხარშეთ.

თუ გინდათ რომ ხელებიდან ნივრის, ხახვის ან თევზის სუნი მოიცილოთ, გაიწმინდეთ ლიმონის ქერქით.

თუ მჟავე კიტრიან ქილაში ცოტაოდენ მდოგვის ფხვნილს ჩაყრით, კიტრი უფრო გემრიელი გამოვა და დიდხანსაც გასძლებს.

შემჭკნარი სალათა ცოტახნით თბილ წყალში მოათავსეთ და გამოცოცხლდება.

როცა ლიმონის მხოლოდ რამდენიმე წვეთი გჭირდებათ, ლიმონს ნუ გაჭრით, მსხვილი ნემსით გაჩხვლიტეთ და თქვენთვის საჭირო წვენის რაოდენობა გამოწურეთ. ამით ლიმონს არაფერი დაუშავდება.

სამზარეულოს და სააბაზანოს ონკანები გაკრიალდება თუ მათ ჯერ ლიმონის წვენით გაწმენდთ, მერე წყალს გადაავლებთ და მშრალი ჩვრით გავამშრალებთ.

სუფრაზე თუ წითელი ღვინო დაგეღვარათ გაშრობას ნუ დაელოდებით, მაშინვე თეთრი ღვინო დააწვეთეთ. ასე ლაქას ადვილად ამოიყვანთ.

ტანსაცმლიდან შოკოლადის ლაქა ძალზე მლაშე წყლით ამოდის.

ონკანიდან ხანგრძლივად ჩამონაწვეთი ბაკზე ტოვებს ყვითელ ლაქას, ამ ლაქის მოცილება შეიძლება ცხელი ძმრით, რომელშიც ცოტა მარილიც უნდა აურიოთ.

ლითონის ღილმა, რომ ბზინვარება არ დაკარგოს, ზედ ფრჩხილების უფერული ლაქი გადაუსვით.

ნემსები, ქინძისთავები, საქსოვი ჩხირები არ დაიჟანგება თუ კოლოფში, რომელშიც ისინია მოთავსებული, ცოტაოდენ ფქვილს ჩაყრით, თუ ამანაც არ გასჭრა და მაინც დაიჟანგა, ჩაარჭეთ საპონში, ჟანგი მოცილდება.

დანა-ჩანგალი რომ ძალზე სუფთა იყოს, კარტოფილის ნახარშ წყალში უნდა ჩაყაროთ და ათ წუთს ადუღოთ, შემდეგ ამოიღოთ და მშრალი ჩვრით გაწმინდოთ.

თუ ოთახში თამბაქოს ეწევიან და კვამლი დგას, აანთეთ სანთელი — მისი ალი ნაწილობრივ წმენდს ჰაერს. სანთელი რომ თანაბრად და დიდხანს ენთოს, პატრუქთან მოათავსეთ სუფრის მარილის რამდენიმე კრისტალი.

## ქართული კერძები

### ამოლესილი ლობიო

ერთი კილოგრამი დარჩეული ხმელი ლობიო ჩავყაროთ ქოთანში ან ალუმინის ქვაბში, დავასხათ ცივი წყალი და ვხარშოთ საშუალო ტემპერატურის ცეცხლზე. წყალი ისე უნდა გამოვზომოთ ჩამატების დროს, რომ ბევრი არ გამოვიდეს და მოხარშვის შემდეგ წვენის გადაქცევა არ დაგვჭირდეს. როცა ლობიოს მარცვლები კარგად შერბილდება, ჩავამატოთ დანაყილი ხმელი ქინძი, ხმელი უცხო სუნელი, ხმელი ან ახალი რეჰანი, რამდენიმე ცალი დაფნის ფოთოლი, თითო კონა წვრილად დაჭრილი ოხრახუში, ნიახური, 100 გრამი პრასი, ერთი თავი ნიორი, 100 გრამი ხახვი, მარილი და წიწაკა გემოვნების მიხედვით. 3-4 წუთის შემდეგ ამოვლესოთ და ერთხელ კიდევ წამოვადუღოთ ნელ ცეცხლზე.

ცეცხლიდან გადმოდგმის შემდეგ ამოლესილ ლობიოში ჩავამატოთ წვრილად დაჭრილი თითო კონა ქინძი, ცერეცო, პრასი, ერთი კოვზი კვაწარახი ან 100 გრამი ტყემლის წვენი (ან წვრილად დაჭრილი ტყემლისტყლაპი), გაზაფხულის პერიოდში სასურველია ჩავაჭრათ მწვანე წიწაკა და ახალი პამიდორი. ასეთი წესით მომზადებული კერძი მეტად არომატული და მადის მომგვრელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ღომი

ღომისათვის უმჯობესია შევარჩიოთ წვრილად დაღერღილი სიმინდი, ღერღილი დიდხანს უნდა ვრეცხოთ, თან ვურიოთ, ვიდრე მთლიანად არ გაეცლება ქატო. წყლის გადაწურვისას ქატო იმ მხარეს მიიწევს, საიდანაც წყალს ვუწურავთ. როდესაც ღერღილი მთლად გასუფთავდება, ჩავყაროთ ადუღებულ წყლიან სალომე ქვაბში. (წყალი ბევრი არ უნდა იყოს) და ვხარშოთ. ხარშვისას თანდათან ვუმატებთ მდუღარე წყალს; როცა სისქის მიხედვით შევატყობთ, რომ მეტი წყალი საჭირო არ არის, ქვაბს თავს დავახურავთ და მოვშუშავთ ნელ ცეცხლზე.

ასეთი წესით მომზადებისას წმინდა ფქვილით ამოზელვა საჭირო არ არის; თანაც ღომი იქნება თეთრი და გემრიელი.

## თევზი ბროწეულით, კვანარახით ან ტყემლის ტყლაპით

თევზი დავჭრათ საშუალო სიდიდის რგოლებად, მოვაყაროთ მარილი, ამოვავლოთ პურის ფქვილში და შევწვათ ზეთში.

400 გრამი წვრილად დაჭრილი ხახვი დავყაროთ ტაფაზე, დავასხათ ერთი ჭიქა ზეთი, ჭიქანახევარი წყალი და მოვშუშოთ, წყალი რომ შეაშრება და ხახვი შეწითლდება, ჩავამატოთ ნახევარ ღვინის ჭიქა წყალში გახსნილი 50 გრამი ტომატი, ნახევარი ჩაის კოვზი შავი პილპილი, რამდენიმე ცალი დაფნის ფოთოლი, წვრილად დაჭრილი ერთი თავი ნიორი და განვაგრძოთ შუშვა, 5 წუთის შემდეგ დავაყაროთ 300 გრამი დარჩეული ტკბილი ბროწეული, ანდა 1 სუფრის კოვზი კვანარახი, ან წვრილად დაჭრილი ტყემლის ტყლაპი და ვშუშოთ კიდევ 5 წუთს, ცეცხლიდან გადმოვდგათ და შევანელოთ ნახევარი კონა წვრილად დაჭრილი ცერეცოთი, ქინძით და დავუმატოთ მარილი და წიწაკა (გემოვნებით).

ღრმა ლანგარზე დავაწყოთ შემწვარი თევზი, ზემოდან სათითაოდ მოვაყაროთ ცხელი საკმაზი და რამდენიმე წუთით დავტოვოთ თავდახურული.

ლ. კუჩუხიძე

# ასი ბავშვის დედა

„ძუძუ ვაწოვე ას ბავშვს", — ასე განაცხადა ჟურნალ „ევას" კორესპონდენტთან საუბარში მადამ რენე გარიგმა, ფრანგმა გლეხმა ქალმა.

ექვსი შვილის დედა — რენე გარიგი მსოფლიოში უნიკალური ქალია: ექვსი წლის მანძილზე მარმანდეს სამშობიარო სახლს მან მიაწოდა სამი ათას ხუთასი ლიტრი რძე, დღეში საშუალოდ ორი ლიტრი. განსაცვიფრებელი რიცხვია!

„იცით, რა შემარქვეს თანასოფლელებმა? — კითხულობს ქალი და იქვე დასძენს — „ოქროსმკერდიანი ძიძა". კვლავ იღიმება და სიამაყით გვიჩვენებს საფრანგეთის წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ გაცემულ დიპლომს, სადაც ვკითხულობთ: „მიეცა ეს დიპლომი ქალბატონ რენე გარიგს, მასზედ, რომ იგი უგზავნიდა რა თავის რძეს დედებს და უძუძურ ბავშვებს, ამით სოლიდარობას განამტკიცებდა დედათა შორის და სიცოცხლე აჩუქა რამდენიმე ათეულ ბავშვს".

„ყველაფერი ამ შვიდი წლის წინ დაიწყო, — ყვება მადამ რენე, — უკვე სამი ვაჟიშვილი მყავდა, ბოლოს მეოთხე გოგო გამიჩნდა და პირველსავე დღეს ვიგრძენი, რომ რძე ძალიან უხვად მქონდა. ისე, რომ შემეძლო ერთდროულად რამდენიმე ბავშვი გამომეკვება. ეს აზრი გავუზიარე ჩემს მეუღლეს, რომელიც მარმანდეს საავადმყოფოში ფერშლად მუშაობდა, ის თავის მხრივ მოელაპარაკა პედიატრიული განყოფილების გამგეს, რომელმაც განაცხადა: ბევრი ბავშვი გვყავს ისეთი, ვისი დაკმაყოფილებაც დედებს არ შეუძლიათ და პატარები სიკვდილის საშიშროების წინაშე არიან; სთხოვეთ თქვენს მეუღლეს, თუ ზედმეტი რძე ექნება, აჩუქოს უძუძურ ბავშვებსო.

როგორც კი ჩემმა მეუღლემ ეს პასუხი მომიტანა, მე მაშინვე დავთანხმდი — ამით ხომ პატარებს გადავარჩენდი! ძალიან გამეხარდა, რომ საშუალება მეძლეოდა, დავხმარებოდი უცნობ დედებს, რომელთაც ბუნება ასე უმოწყალოდ მოექცა და არ მისცა უნარი თავიანთი რძით გამოეკვებათ შვილები".

საგანგებო ანალიზებისა და გამოკვლევების შემდეგ, ლაბორატორიამ დაადგინა, რომ რძე ძალიან კარგი შემადგენლობისა იყო და მადამ რენე ოფიციალურად აღიარეს რძის „დონორად". ამის შემდეგ ის ყოველდღიურად ზედმეტ რძეს სპეციალურ ბოთლებში ასხამდა და მარმანდეს სამშობიარო სახლიდან სპეციალურად გამოგზავნილ ადამიანს ატანდა.

ასე გავიდა ექვსი წელი. მადამ რენე თავის შესანიშნავ მოღვაწეობას ისეთივე ენთუზიაზმით განაგრძობს, როგორც პირველ დღეს.

სამშობიაროს ადმინისტრაციამ თვითონ დააყენა საკითხი ზემდგომი ორგანოების წინაშე, რათა მადამ რენეს ანაზღაურებოდა რძის საფასური. ამჟამად მას თითოეულ ლიტრში 12 ფრანკს უხდიან. „ჩემთვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, — განაცხადა მადამ რენემ, — თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ერთ წელიწადში თითქმის ოთხი მილიონი ფრანკი გამოვიმუშავე. მაგრამ ჩემთვის მთავარი ისაა, რომ ჩემი რძის წყალობით ბევრი ბავშვი ისეთი ჯანმრთელი და მაგარი იქნება, როგორიც ჩემი შვილები არიან. მე თითქოს მესმის კიდეც, როგორ მეძახის ასი ბავშვი ერთდროულად „დედას".

იტალიურიდან თარგმნა
ზაირა სტურუამ

---

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე — სკკპ XXV ყრილობის დელეგატები; კინორეჟისორი ლანა ღოღობერიძე და მეჩაიე ეთერ ცირამუა. ფერადი სლაიდები დ. იაკობაშვილის და გრ. სეირანიანისა.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ქ. სიხარულიძე, ნ. ფალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.
ტექრედაქტორი ი. ჩოფიკაშვილი

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, №: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის — 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 28/II-76 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/III-76 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3, ტირაჟი 121 550 შეკვ. 0346 უე 00679 ფასი 30 კაპ.

# მისი ნახატები ცოცხლობენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანამ ნადია რუშევას ნახატების გამოფენა თბილისში იყო, ხშირად მივდიოდი მათთან, ვიდრე საგამოფენო დარბაზში შევიდოდი, მეგონა, სადღაც, ჯაფარიძის თუ კიროვის ქუჩის თავში შემომხვდებოდა გამხდარი გოგონა, სწორი, შავი თმებით, თვალების ალმოსავლური ჭრილით... შემომხვდებოდა ნადია რუშევა. ყოველთვის ვღელავდი, ვღელავდი „მასთან“ — მის ნახატებთან შეხვედრისას. ეს იყო სიხარულის, გაოცებისა და სინანულის გრძნობის ღელვა...

პირველად, დარბაზში შესვლისთანავე, გაღიმებული, სიცოცხლის სურვილით სავსე ნადიას ფოტოსურათთან მივდიოდი; შემდეგ კი ფრთხილად, ძალიან ფრთხილად დავაბიჯებდი ნადიას სამყაროში, მისი არაჩვეულებრივი სამყაროს იმ ნაწილში, რომელიც აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლის საგამოფენო დარბაზში იყო გადმოტანილი.

ნახატები ყველასა და ყველაფერზე მეტს მოგვითხრობენ ნადიაზე. ნახატები გველაპარაკებიან, გვაცნობენ მას და გვაოცებენ მისით:

თითქოს დაუჯერებელია, ჩვიდმეტი წლის ასაკში შესძლო ადამიანთა რთული სულიერი სამყაროს დანახვა და არა მარტო დანახვა — გადმოტანა ქაღალდზე, გადმოტანა ფანქრით, კალმით, ფლომასტერით. მათი იმდაგვარად ჩვენება, როგორიც წარმოიდგინე: ისე ჩვენება და დახატვა, რომ მნახველებმა დაგიჯერონ და იცნონ შენეული პუშკინი, შენეული მეფე ლირი, შენეული ჯულიეტა, შენეული იელოვა...

მაინც რით გვაოცებენ ნადია რუშევას ნახატები? — ალბათ მერამდენედ დავსვამთ ამ კითხვას. — არაჩვეულებრივი შინაგანი სიმართლით, შტრიხების სიმსუბუქით, პლასტიკურობით, ნათელი ხედვით...

ისინი ახლა ნადიას გარეშე ცოცხლობენ: ნადიას გარეშე მოიარეს თითქმის ასი ქალაქის საგამოფენო დარბაზები, იყვნენ პოლონეთში, რუმინეთში, ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, იტალიაში, იაპონიაში, ინდოეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. იყვნენ მხოლოდ ნახატები.

1969 წლის მარტში გარდაიცვალა 17 წლის ნადია რუშევა. მოულოდნელი იყო, თავზარდამცემი, წარმოუდგენელი...

არც თუ შემთხვევით მახსენდება უძველესი იაპონელი მწერლის სიტყვები „ის რაც ვერ გამოვთქვი, — ჩემგან ნათქვამზე უფრო ძლიერიაო“ — ალბათ ასევე იტყოდა ნადია რუშევაც წინასწარ რომ სცოდნოდა თავისი ხანმოკლე სიცოცხლის უეცარი დასასრული.

ნადიამ კი იმ დილით ჩვეულებრივ ჩაალაგა ჩანთაში რვეულები, ჩვეულებრივ აძლევდა თავის თავს დავალებას — წაეკითხა ახალი წიგნები, ენახა ისეთი ადგილები, სადაც ჯერ კიდევ არ დაედგა ფეხი და ეხატა, ეხატა ყველგან, ეხატა განუწყვეტლივ მაგრამ...

დასასრული არ უჩანს თითქოს პუშკინის თემაზე შექმნილ ნადიას ნახატების სერიას: თითქოს თავად იცხოვრა პოეტის ცხოვრებით — ოთხი წლიდან — დუელამდე. თითქოს ისიც იდგა სასიკვდილოდ განწირული პოეტის სარეცელთან, ხედავდა ნატალია გონჩაროვას — ახალგაზრდა ქვრივს, ხედავდა პუშკინს ლიცეუმის ამხანაგებთან ერთად, იცნობდა თერთმეტი წლის ბავშვს — პოეტს, იცნობდა და მოჰყავდა ჩვენთან მსუბუქი, ოცნებასავით ჰაეროვანი შტრიხებით, ხაზებით, მოძრაობებით; ერთი ხელის მოსმით შესრულებული რბილი კონტურებით...

დავდიოდი დარბაზში და ძლიერი სურვილი მაფორიაქებდა, — სურვილი ნადიას ათიათასივე ნახატის გაცნობისა!

მის სტილში თანამედროვეობის მაჯისცემა იგრძნობა. უყურებთ ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტას“ ილუსტრაციებს და თითქოს ცოცხლდება ბულგაკოვისეული თუ რუშევასეული იელოვა ჯვრით ხელში, მერე კი სამუდამოდ გამახსოვრდებათ...

ნადია მოესწრო საკუთარი სახელის აღიარებას: თერთმეტი წლის იყო, როდესაც მისეული ილუსტრაციები დაიბეჭდა; თორმეტი წლისამ პირველი პერსონალური გამოფენა მოაწყო მოსკოვში; თოთხმეტი წლის გოგონა კი ნახატებით მიემგზავრება ვარშავაში. მისგან იღებენ ინტერვიუებს, უღებენ ფილმებს; ხედავს აღფრთოვანებულ სახეებს, მაგრამ დიდებამ გოგონას სულს ვერაფერი დააკლო. მისი ბიოგრაფები იხსენებენ როგორ ატირდა ნადია, როდესაც მოსკოვში, ერთ ერთი გამოფენის გახსნის დროს, დამთვალიერებლებმა მოითხოვეს მხატვრის სცენაზე აყვანა. მას უნდოდა ყველაფერი ყოფილიყო უბრალოდ, ჩვეულებრივად.

გოგონა ცხოვრობდა მათი ცხოვრებით. — ვისაც ხატავდა ის იყო ჟანა დარკიც და ლერმონტოვის ბელაც; ხან ზოია კოსმოდემიანსკაიასავით მედგარი იყო, ხანაც ვარსკვლავებისაკენ მქროლავი მეოცნებე პატარა უფლისწული. ნადიას ნახატები დღიურებივით ფურცლებივით გვაცნობენ მის მშვენიერ სულიერ სამყაროს, მის ზრდას, ჩამოყალიბებას, ჩამოყალიბებას როგორც მხატვრისა და მოქალაქისა.

და ცოცხლობენ ნახატები, ნიჭის მადლმოსილი შუქით განათებულნი... მათში კი ცოცხლობს ნადია რუშევა.

დოდო ჯაჭველიანი





ИНДЕКС 76178

ეროვნული
ბიბლიოთეკა

